დანართი №2

სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - "კულინარია", "კონდიტერია", "მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება", "ამწის ოპერირება", "მძიმე ტექნიკის ოპერირება" - დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ეკა ბუთხუზი

წევრები:

დავით ხუციშვილი
ვალერი ჯაჯანიძე
თემურ საღინაძე
მაია მსხილაძე
ირმა ღარიბაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ვიზიტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 ივნისის N760598 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით განახორციელონ ვიზიტი სსიპ - კოლეჯ „ახალ ტალღაში” 2026 წლის 08, 09, 10 ივლისს მისამართზე ქ. ქობულეთი, რუსთაველის №154.
ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 08, 09 და 10 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - კოლეჯ „ახალ ტალღაში“. ვიზიტი ჩატარდა დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს. დაათვალიერეს და შეისწავლეს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო სასწავლო რესურსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალით(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

II სტანდარტი

ინდიკატორი 2.2.1.1
დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 2026 წლის 18 მარტის N 07 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 30.11.2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კულინარია" პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭიროა კულინარიის ლაბორატორიისთვის დამატებითი აღჭურვილობის შეძენა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 21/07/2026 წლის №962319 კორესპონდენციის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	კულინარია/ Cooking
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში/Secondary Vocational Qualification in Cooking
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	16/02/2026 N 01-04/37(ცვლილება 03/07/2026 , N01-04/180)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	ჯამში - 73 პროფესიული სტუდენტი აქედან -13 დუალური 60 იმიტირებული (მ.შ. 30 ინტეგრირებული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარია" განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება, გამომდინარეობს სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის" მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან და ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დასაბუთება ეფუძნება შრომის ბაზრის ანალიზს და ასახავს რეგიონში არსებული საჭიროების შესწავლას. დასაბუთებაში მკაფიოდ გამოხატულია პროგრამის საჭიროება და მიზნობრიობა, რაც ადასტურებს მის შესაბამისობას დაწესებულების მისიასთან - პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად ეყრდნობა დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 29 იანვრის N01-04/13 ბრძანებით და რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტია ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა და მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმისაწვდომობის გაზრდა. რაც მიზნად ისახავს სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.

აჭარის რეგიონი ყოველწლიურად იზიდავს ასობით ათას ტურისტს, რაც განაპირობებს კვებისა და მომსახურების სექტორის სწრაფ გაფართოებას. აღნიშნული ფაქტი ქმნის მუდმივ მოთხოვნას პროფესიონალური მზარეულების მიმართ. რეგიონში იკვეთება დეფიციტი ისეთ პროფესიონალებზე, რომლებიც ფლობენ: ტრადიციული ქართული სამზარეულოს სრულად დამუშავებულ უნარ-ჩვევებს, საერთაშორისო სამზარეულოს ტექნიკებსა და სტანდარტებს, მაღალი ხარისხის პროდუქციის სწრაფი და ეფექტური მომზადების უნარს.

დაწესებულების მიერ სამუშაოს ბაზრის მონაცემებისა და ტურიზმის სექტორის განვითარების ტენდენციების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ მომდევნო 3–5 წლის განმავლობაში მოთხოვნა მზარეულებზე, რომლებიც ფლობენ შესაბამის პროფესიულ კომპეტენციებს, სავარაუდოდ 20–30%–ით გაიზრდება. აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კი უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე საერთაშორისო სამზარეულოში, აძლევს მათ პრაქტიკულ უნარებს, კრეატიულობასა და პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობას.

დაწესებულებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის შესწავლის მიზნით, გაანალიზებული აქვს დასაქმების პლატფორმები, რეგიონის, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ჩატარებული კვლევები:

- ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები (LMIS პლატფორმის კვლევა, GFA-ის შრომის ბაზრის ანგარიში, PMCG-ის კვლევა, პროფესიული უნარების სააგენტო). საქართველოს შრომის ბაზრის ბოლო წლების კვლევები ცხადყოფს, რომ კვებისა და მომსახურების სფერო ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სექტორია. დასაქმების მაჩვენებელი მზარდია, ხოლო კვალიფიციური მზარეულებისა და საკვების მომზადების სპეციალისტების დეფიციტი კვლავ აქტუალურია. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა პასუხობს ეროვნული განვითარების სტრატეგიებსაც, რომლებიც ტურიზმისა და სერვისის სფეროს ზრდას ხელს უწყობს.
- საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების (ILO, OECD, CEDEFOP, LinkedIn Jobs Report) ანალიზის მიხედვით პროფესიული მზარეულებზე დეფიციტი იკვეთება, რაც ქმნის სტუდენტებისთვის განსაკუთრებულ შესაძლებლობებს საერთაშორისო ბაზარზე დასაქმებისათვის.
- კოლეჯის მიერ ჩატარებულმა კვლევამ, აჭარის რეგიონის რესტორნებსა და სასტუმროებში, ცხადყო, რომ კვებისა და კულინარიული მომსახურების სფეროში არსებობს მძიმე დეფიციტი კვალიფიციურ კადრებზე. გამოკითხვის შედეგებით, ძირითად გამოწვევად რესპონდენტთა 65%-მა კადრების ნაკლებობა დაასახელა, რაც აისახება მომსახურების ხარისხსა და ობიექტების ოპერაციულ ეფექტურობაზე. კვლევის დროს ყურადღება გამახვილდა დეფიციტური უნარებსა და კომპეტენციებზე: ჰიგიენისა და უსაფრთხოების სტანდარტების ცოდნა (რესპონდენტთა 70%), საერთაშორისო სამზარეულოს პრაქტიკული ცოდნა (რესპონდენტთა 60%), პრაქტიკული გამოცდილება – დამსაქმებლები ხაზს უსვამენ, რომ თეორიული ცოდნა მნიშვნელოვანია, თუმცა სამუშაო ბაზარზე წარმატებისთვის პრაქტიკული უნარები აუცილებელია.
- დასაქმების პლატფორმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მუდმივად ფიქსირდება მზარეულების, კულინარიული სპეციალისტებისა და საკონდიტრო პროდუქციის შემქმნელების ვაკანსიები. სტატისტიკურად, ვაკანსიების დაახლოებით 65–70% დაკავშირებულია მზარეულების პროფესიულ იმ უნარებთან, რომლის გამომუშავებასაც აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს (თანამედროვე სამზარეულოს ტექნოლოგიების ფლობა, ჰიგიენისა და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა, გუნდურ მუშაობა, უცხოურ ენებზე კომუნიკაციის უნარი და სხვ.).

პროფესიული პროგრამა „კულინარია“ პასუხობს ამ გამოწვევებს: პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ მოდულებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების მომზადებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარ-ჩვევებით. კურსდამთავრებულები აღჭურვილნი არიან ცოდნით თანამედროვე სამზარეულოს ტექნოლოგიებში, ჯანსაღ კვებაზე და საერთაშორისო მომსახურების სტანდარტებში.

სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 2025 წლის 27 მაისის N01-04/106 ბრძანება) დამკტიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგია“ არეგულირებს სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს. პროგრამის დამტკიცების პროცესს წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს პროგრამის დამატების ინიცირებას, სამუშაო ჯგუფის შედგენას, მისი დამატების მიზანშეწონილობის დადგენას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის მომზადებას და ხარისხის მენეჯერთან წარდგენას პროექტის რევიზიის მიზნით. პროგრამის შემუშავების საფუძველი, შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტი და სხვა დამატებითი სამართლებრივი საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტებია. ახალი პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯი, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი და სხვ., რომელიც განსახილველად წერილობით წარმოადგენს წინადადებას პროგრამის დამატების შესახებ. ახალი პროგრამის დამატების შესახებ მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერი მოიპოვებს ინფორმაციას და წარმოადგენს პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. პროგრამის დამატების ინიციატივას და მის მიზანშეწონილობას იხილავს კოლეჯის დირექტორი დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან ერთად. ინიციატივის განხილვის შემდეგ იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამზადებს პროგრამის პროექტს, ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, კოლეჯის ადამიანურ და მატერიალურ რესურსთან და სხვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის მომზადების შემდეგ დოკუმენტი გადაეგზავნება ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამას ამტკიცებს დირექტორი.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის“ განხორციელების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. **2.1.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კულინარია“ განსაზღვრული დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ წინაპირობასთან და კოლეჯის მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან. კერძოდ, დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო იმ სასწავლო გეგმაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები – საბაზო განათლება. აღნიშნული მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ დაშვების წინაპირობებთან.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით და დაწესებულების მიერ დამტკიცებული რეგულაციების შესაბამისად. დაშვებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები (სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა, შიდა და გარე მობილობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები და სხვ.) დეტალურად არის გაწერილი კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში” (დამტკიცებულია: 2026 წლის 24 მარტის N N01-04/74 ბრძანებით). სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საკითხი; ხოლო პირის კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის თანაბარ შესაძლებლობებს, გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღებასა და სამართლიან ადმინისტრაციულ პროცესს. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების პროცედურები უზრუნველყოფს ისეთ პირთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაშვებას, რომლებიც პროგრამის განხორციელების ვადაში შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ: კოლეჯის დირექტორის მიერ 2022 წლის 14 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამკტიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის" მიხედვვით, კოლეჯის კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, კოლეჯის ადამიანური და მატერიალური რესურსი მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, ინტეგრირებული პროგრამების განხორციელების ლაბორატორიების სამუშაო ადგილების რაოდენობა და დატვირთვა, ფინანსური რესურსი, პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობები და სხვ.

დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის, სხვადასხვა ცვლებში მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით.

დუალურ პროგრამაზე კვოტის განსაზღვრის დროს გაითვალისწინება დაწესებულებასა და საწარმოს (პარტნიორს) შორის არსებული ხელშეკრულების პირობები - საწარმოში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალურ რაოდენობა. დუალურ პროგრამაზე კვოტის განსაზღვრის დროს გაითვალისწინება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების გადანაწილება კოლეჯსა და საწარმოს (პარტნიორს) შორის ზრდის შესაბამის გარემოთა გამტარიანობას, დაახლოებით 2-ჯერ. პროგრამაში საწარმოო პრაქტიკის მოდულის არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებულია კომპანიებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში ობიექტების მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა.

კვოტის განსაზღვრის დროს გაითვალისწინება პროგრამის ხანგრძლივობა და სასწავლო გეგმის სპეციფიკა, საპროგნოზო ბიუჯეტი; კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებელია, რომ კოლეჯი მუშაობს რამდენიმე ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც.

კოლეჯს წარმოდგენილი აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კულინარია" ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღას" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კულინარია" შექმნილი აქვს სამი A, B და ორი C გარემო, რომელიც სრულად შეესაბამება სასწავლო პროცესის საჭიროებებს. დაწესებულებას ასევე აქვს და ინტეგრირებული პროგრამის ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით შესაბამისი ლაბორატორია. აღნიშნული გარემო აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მასალებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების ეფექტურობას.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში გათვალისწინებულია ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი.

დაწესებულება უზრუნველყოფს თანამშრომლობას ორ საწარმოო დაწესებულებასთან (13 პროფესიული სტუდენტისათვის).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კულინარია" მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების მიხედვით დაწესებულება აცხადებს მზაობას პროგრამაზე მიიღოს 73 სტუდენტი, აქედან -13 დუალური, 60 - იმიტირებული (მ.შ. 30 ონტეგრირებული).

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა და საწარმოო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით დასტურდება, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **2.1.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარია" განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან. საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. აღნიშნული რესურსი განთავსებულია კოლეჯის საიტზეც, სადაც ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსი ყველა პროფესიული სტუდენტისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის. ასევე, კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსი.
რესურსის არსებობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა ვიზუალური დათვალიერებით და რესურსების ფლობის/შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევასა და მონიტორინგს, საჭიროების შემთხვევაში განახლებას ან გაუმჯობესებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ხარისხის შენარჩუნებას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში. **2.1.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კულინარია" ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს – „პრაქტიკული პროექტი - კულინარია", რომელიც შინაარსობრივად და ფუნქციურად დაკავშირებულია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის სამომავლო პროფესიულ საქმიანობასთან. აღნიშნული მოდული პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას პრაქტიკულად გამოიყენოს პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები რეალურ ან რეალურთან მიახლოებულ სამუშაო გარემოში. მოდულის ფარგლებში სტუდენტები ახორციელებენ დამოუკიდებელ ან გუნდურ პრაქტიკულ პროექტებს, რაც ხელს უწყობს პროფესიული უნარების გაღრმავებას, კულინარიული პროცესების დაგეგმვის, ორგანიზების, შესრულებისა და შედეგების შეფასების შესაძლებლობების განვითარებას. ასევე, მოდული ხელს უწყობს შემოქმედებითი მიდგომების, პრობლემების გადაჭრის, გუნდური მუშაობისა და პროფესიული პასუხისმგებლობის უნარების განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია კულინარიის სფეროში დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებისათვის.

2.1.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ: კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კულინარია" დამტკიდებულია სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის" დირექტორის მიერ 2026 წლის 16 თებერვალს №01-04/37 ბრძანებით (ცვლილება 03/07/2026, N01-04/180) . **2.1.1.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კულინარია" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,,კულინარიის" საფუძველზე. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგები და მათი შეფასებით, პროგრამის სახელწოდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. **2.1.1.7 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კულინარია" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - ,,კულინარიის" - (სარეგისტრაციო ნომერი 10.17.1) საფუძველზე. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, საწარმოო დაწესებულების განხორციელების მიდგომები. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (მ.შ. ზოგადი მოდულები, რომელთაგან ორი - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 განკუთვნილია მხოლოდ არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის), სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.
სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულებით განსაზღვრულ წინაპირობებს, დაცულია პროგრამის ლოგიკური განვითარება, დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის და პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კულინარია" ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში, აერთიანებს 6 ინტეგრირებულ ზოგად მოდულს, 16 პროფესიულ მოდულს, 2 ზოგად მოდულს და 1 არჩევით მოდულს - კულინარიაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 118 კრედიტი; პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 80 სასწავლო კვირას ანუ 20 სასწავლო თვეს.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კულინარია" ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე, აერთიანებს 16 პროფესიულ მოდულს, 3 ზოგად მოდულს ჯამური და 1 არჩევით მოდულს; კულინარიაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 90 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 70 სასწავლო კვირას ანუ 18 სასწავლო თვეს.
- მოდულების, ქართული ენა A2 (15 კრედიტი) და ქართული ენა B1 (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კულინარია" შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის" მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული რეგულაციები. პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავების მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის №01-04/37 ბრძანებით (ცვლილება 03/07/2026, N01-04/180) დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ასევე წარმოდგენილ იქნა პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება შესაბამისი ოქმით, სადაც ნათლად ჩანს პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავება.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ აღნიშნული პირები. **2.1.1.8 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის წესი”;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კულინარია“;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის“ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის დირექტორის ბრძანება“;
- საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის“ შემუშავების სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება“;
- ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარია“ კონტიგენტის განსაზღვრა“;
- კოლეჯის მისია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- საწარმოო ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ: კოლეჯს მფობელობაში აქვს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური რესურსი, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის სასწავლო გარემოსა და საწარმოო ობიექტებზე (დუალური სწავლებისათვის).

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის" სწავლების მიზნებისთვის გააჩნია (ორცვლიანი სწავლებისათვის 15 სტუდენტზე გათვლილი):

- სამი A აუდიტორია;
- ერთი B აუდიტორია;
- ორი C გარემო.

A სასწავლო გარემო განკუთვნილია თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის. გარემო აღჭურვილია 15 სტუდენტის მაგიდითა და სკამით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით, საკმითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით.

B სასწავლო გარემოში განთავსებულია 15 პერსონალური კომპიუტერი, რომლებიც განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ერთი კომ პიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; B გარემოს დატვირთვა გაკეთებული აქვთ ისე, რომ მისი გამტარუნარიანობა შესაბამისი იყოს სხვა პროგრამების განსახორციელებლადაც.

C ტიპის სასწავლო გარემო წარმოადგენს სპეციალიზებულ სასწავლო ლაბორატორიებს, რომლებიც შეესაბამება კულინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მოთხოვნებს. გარემო აღჭურვილია დარგის სპეციფიკის შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობებით, ინვენტარითა და დამხმარე საშუალებებით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარების განვითარებას და სწავლის შედეგების მიღწევას. ლაბორატორიაში დაცულია შრომის უსაფრთხოების, სანიტარიულ-ჰიგიენური და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები; უზრუნველყოფილია სათანადო ვენტილაცია, განათება და სამუშაო სივრცის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორგანიზება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასწავლო გარემო ადაპტირებულია ჯგუფური და ინდივიდუალური პრაქტიკული საქმიანობის განსახორციელებლად.

დაწესებულებას ასევე აქვს ინტეგრირებული მოდულების (სპორტისა და მეცნიერება და ტექნოლოგიების) განსახორციელებლად საჭირო ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

კოლეჯს დუალური ფორმით პროგრამის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ორ საწარმო ობიექტთან:

- შპს ქარაფი (3 პროფესიული სტუტენტი);
- შპს ტურინვესტი (10 პროფესიული სტუტენტი).

დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგურილებელი წესის მე-16 მუხლით რეგულირდება სსიპ კოლეჯ ახალ ტალღაში დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესი. კოლეჯი დისტანციური სწავლების, შეფასების და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები არეგულირებს დისტანციური სწავლების ფორმებს, დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესს (ადმინისტრირებას, მონიტორინგსა და დაკვირვებას).

კოლეჯში დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მოდელების გამოყენებით:

- სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში რომელიმე ელექტრონული საკომუნიკაციო პლატფორმის გამოყენებით ყველა სტუდენტისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვას;
- სრულად ელექტრონულად, ასინქრონულად, რაც გულისხმობს ვიდეო მეცადინეობების ან ხელმისაწვდომი სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო პლატფორმები ან/და ციფრული რესურსების გამოყენებით სწავლა-სწავლებას;
- ჰიბრიდულად, რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენებას, რაც შეიძლება იყოს დიფერენცირებული მოდულების, ჯგუფებისა და განაყოფების მიხედვით.

დისტანციური სასწავლო პროცესის წარმართვისა და დისტანციური სასწავლო რესურსების გამოყენების მიზნით კოლეჯი ახდენს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებას, კერძოდ, ელექტრონული პლატფორმა Teams გამოიყენება დისტანციური საგაკვეთილო პროცესისათვის.

პროგრამით გათვალისწინებულია რიგი მოდულების დისტანციურ რეჟიმში სწავლების შესაძლობლობა.

აღნიშნული დოკუმენტში ასევე გაწერილია დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების, დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო რესურსების, სტუდენტთა დასწრების აღრიცხვის, შეფასების, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სხვა საკითხები.

განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ისინი იცნობენ დისტანციურად სასწავლო პროცესის წარმართვის რეგულაციას. მათ ნაწილს აქვს გამოცდილება დისტანციურად/ნაწილობრივ დისტანციურად მოდულების წაკითხვისა და საჭიროების შემთვევაში აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც შეძლებენ ცოდნის გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია დამატებით შესაძენი ინვენტარის სახეობა, რაოდენობა და შესყიდვის პერიოდი. აღნიშნული გეგმის მიხედვით, დაწესებულებამ პრაქტიკული სწავლების განსახორციელებლად და C გარემოს სტანდარტის შესაბამისად აღსაჭურვად უნდა შეიძინოს შემდეგი სახის ინვენტარი: მაგიდა ცომის საგლინავი, მანქანა ელექტრო ხორცსაკეპი, ბოსტნეულის და კვერცხის დასამუშავებელი ქიმიკატის დოზატორი, პასტის ცომის საბრტყელებელი და საჭრელი, ფრის შესაწვავი აპარატი და სხვ. დაწესებულება შესყიდვის თარიღად 2026 წლის 30 ნოემბერს განსაზღვრავს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად არის უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და საწარმოო ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **2.2.1.1 ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.**

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროგრამის დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელთა სია, რომლის მიხედვითაც პროგრამა ხორციელდება 31 პროფესიული მასწავლებლის მიერ. პროგრამის შემადგენელ თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირი. კოლეჯში სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის ამსახველი დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა, ასევე მათი დატვირთვა სხვა პროგრამაზე მოდულის განხორციელების შემთხვევაში. დატვირთვის გაანგარიშებისას, გარდა საკონტაქტო საათებისა, გათვალისწინებულია მასწავლებლის მონაწილეობა სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და ზოგჯერ-გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებაც). ამიტომაც მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გეგმის მიხედვით 2 ცვლიანი სწავლების პირობებში კვირაში 30-32 საათი.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს და არ აღემატება კვირაში 40 საათს. **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ: პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია გამოცდილება და გადამზადება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები და წინმსწრები ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს პროფესიული განათლებლების მასწავლებელი. კოლეჯი მუდმივად ზრუნავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებებზე. მაგალითად, ზემოთაღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით კოლეჯმა დაგეგმა და ჩაატარა არაერთი ტრენინგი, მათ შორის: ინტეგრირებული მოდულის სწავლების შესავალი, პროფესიული განათლებლის მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი, შეფასებისა თუ სასწავლო პროცესის დაგეგმვის კუთხით ჩატარებული ტრენინგები და სხვ.

ასევე, კოლეჯს დარგობრივი პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების კუთხით დაწესებულება უზრუნველყოფს მასწავლებელთა მონაწილეობას ვორქშოფებზე, სემინარებსა თუ კონფერენციებში ეროვნულ და საერთაშორისო მასშტაბით.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ მასწავლებლებს, რომლის შედეგადაც დადასტურდა მათი კომპეტენცია და გამოცდილება. **2.2.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ: პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსზე, ხარისხზე, განხორციელებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უძღვება პროგრამის შემუშავებისა და მისი განვითარების პროცესებს. პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროს შესაბამისი განათლებით/პრაქტიკული გამოცდილებით.
ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს, დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტით, ხოლო ფუნქცია-მოვალეობები - შინაგანაწესითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. ინტერვიურების პროცესში ნათლად წარმოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევასა და მატერიალური რესურსების მობილიზებაში. **2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ: კოლეჯი აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში. კოლეჯის ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინოდ არის გამოკრული საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციები.
ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია კოლეჯის ყველა პროფესიული სტუდენტისათვის, ექსპერტებმა ელექტრონული სარგებლობის წესის შესაბამისად თავადვე მოიძიეს შერჩევით სახელმძღვანელო და ჩამოტვირთეს წიგნის ციფრული ვერსია. ასევე, მოდულებში საგანმანათლებლო რესურსების სახით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების გამოყენებიათვის კოლეჯის მასწავლებლებს მუდმივად აქვთ განახლებულ აქტებზე წვდომა, რისთვისაც გამოიყენება ოფიციალური ორგანოს - სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემა, რაც დასტურდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

სამკითხველო დარბაზში განთავსებულია სახელმძღვანელოები მატერიალური სახით, სივრცე აღჭურვილია სათანადო ინვენტარით (მაგიდა, სკამები, კომპიუტერები), ბიბლიოთეკარის სამუშაო მაგიდასთან განთავსებულია, სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე, ასლის გადამღები აპარატი. ბიბლიოთეკაში მუდმივად ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი. **2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ: კოლეჯში შექმნილია პირობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის განათლების მისაღებად და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის საზოგადოებაში; კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 45-ე მუხლი მოიცავს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. კერძოდ, ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნით, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის მობილიზებას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას; საჭიროების შემთხვევაში სსსმ პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, უზრუნველყოფს სოციალურ ადაპტაციას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ამასთან, კოლეჯის სასწავლო გარემო ადაპტირებულია შშმ პირების თავისუფლად გადაადგილებისათვის. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ინდივიდუალური გეგმების შედგენის პრაქტიკა, გაესაუბრა ინკლუზიური განათლების სპეციალისტს, ჟესტური ენის სპეციალისტს, პროფესიული განათლებლის მასწავლებლებს. აღნიშნულის შედეგად დადასტურდა, რომ არსებული რეგულაცია და განმახორციელებელთა გამოცდილება, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენასა და სასწავლო რესურსებთან ხელმისაწვდომობას სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. **2.2.1.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ: კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის **„კულინარიის“** მდგრად და უწყვეტ განხორციელებას, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლებიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს, პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით (რენტაბელობის ზღვარად მიჩნეულია მინიმუმ 11 პროფესიული სტუდენტი, ინტეგრირებულისათვის 13 პროფესიული სტუდენტი), რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. **2.2.1.7 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- კოლეჯის მატერიალური რესურსი;
- საწარმოო ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმე/ხელშეკრულება;
- პროგრამისხელმძღვანელის პირადი საქმე/ხელშეკრულება;
- პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის სქემა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკარის პირადი საქმე;
- კოლეჯის ვებ -გვერდი;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ., კერძოდ: დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები, რომელიც ეყრდნობა დემინგის ციკლს. კოლეჯის დირექტორის მიერ 2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანებით (ცვლილება 2025 წლის 27 მაისი, ბრძანება №01-04/106) დამტკიცებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესი", რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხელს უწყობს კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს პროცესების იდენტიფიცირებას, დაგეგმვას, განვითარებას, მონიტორინგის გეგმის შედგენას, მონიტორინგის განხორციელებას და პროცესების შეფასებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება, სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება, ვერიფიკაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით.

პროგრამების განვითარებაზე ზრუნვას კოლეჯი ახორციელებს როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით. პირველ შემთხვევაში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს: თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. ინფორმაცია შესაძლოა მიღებული იქნას როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, რომელიც სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ აანალიზებს მოდულის განხორციელების მიმდინარეობას და გამოყოფს საკითხებს, რომელთა გაუმჯობესებაც რეკომენდებულია, ასევე პროფესიული სტუდენტებისაგან, რომლებმაც უკვე დაასრულეს მოდული. შესაძლოა სწავლის მეთოდებისა და მიდგომების ან სასწავლო რესურსების გაუმჯობესების წყაროდ იქცეს საერთაშორისო პრაქტიკა, რომელსაც გაეცნო კოლეჯი და თვლის, რომ მისი დანერგვით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს.

პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წელს ჩატარებული კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები, რომელიც ჩატარდა კოლეჯში პროფესიული განათლების ხარისხის შეფასების მიზნით. კვლევა ასახავს კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანობასა და შრომის ბაზართან შესაბამისობას. კვლევა ჩატარდა კოლეჯის კურსდამთავრებულთა შორის, საგანმანათლებლო პროგრამებზე: „ჰაერისკონდიცირება“, კულინარია“, „კონდიტერია“ და „მეფუტკრეობა“. კვლევის მიზანს წარმოადგენდა სწავლების ხარისხის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პედაგოგთა საქმიანობის შეფასება, აგრეთვე კურსდამთავრებულთა საქმიანობის, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების დინამიკის შესწავლა, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ გაუმჯობესებას. კვლევის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ კურსდამთავრებულები მაღალ შეფასებას აძლევენ კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებსა და სწავლების პროცესს. რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მიღებული ცოდნა და უნარები სრულად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სწავლების პროცესი შეფასდა როგორც ეფექტური და პრაქტიკაზე ორიენტირებული, განსაკუთრებით აღინიშნა პედაგოგთა პროფესიონალიზმი და ადმინისტრაციული მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ თუ საერთაშორისო გამოცდილებას. **2.3.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ, კოლეჯს შემუშავებული აქვს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესი", რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის განვითარებას და ცვლილებების განხორციელების შემთხვევებს და ცვლილებების განხორციელების პროცედურას. კოლეჯის ხარისხის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლის „დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე-განავითარე" მოდელზე. პროგრამის შეფასება ხდება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებზე დაყრდნობით, რომლის ფარგლებში ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის (პროფესიული სტუდენტი, დამსაქმებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი) გამოკითხვა და შედეგების ანალიზი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ხარისხის მენეჯერის რეკომენდაციების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები. ცვლილებების პროცედურები ხორციელდება აღნიშნული წესის შესაბამისად.

პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს.

დუალურ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ინიცირება უნდა ეცნობოს საწარმოს, რომელიც ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, თანხმობის შემთხვევაში უნდა გაფორმდეს კოლეჯსა და საწარმოს შორის შეთანხმება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტით.

სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი გააანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები მასში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" შესაბამისად. ექსპერტთა შეფასებით, **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესი" (2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანება (ცვლილება 2025 წლის 27 მაისი, ბრძანება №01-04/106);
- სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის" „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში" (2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანება; ცვლილება 27/05/2025 N 01-04/105);
- პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლის, მასწავლებლის კითხვარები;
- კვლევის ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„კულინარია“** შედგენილია სასწავლო გეგმები პროგრამის მოდულური მიდგომით თანმიმდევრული განხორციელებისათვის (დანართი N1.1.), პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელებისთვის (დანართი N1.2) და სასწავლო გეგმა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი N1.3). სასწავლო პროცესის განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, სასწავლო გეგმებში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის; სასწავლო გეგმები აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმებისა და საათების განაწილების ტარიფიკაციის შესაბამისად შემუშავებულია გაკვეთილების განრიგები - ცხრილები. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს კოლეჯში დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანებით (ცვლილება 27/05/2025 N 01-04/105) „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“, დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ: სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში“ საწავლო პროცესი მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დამტკიცებულია 2026 წლის 24 მარტის N N01-04/74 ბრძანებით) მიხედვით კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად რეაგირებს ყველა შემხვედრ საჭიროებაზე, კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში დისტანციური სწავლების დროს, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტთა რესურსებით უზრუნველყოფაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და/ან დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციების ჩატარებაში. სასწავლო გეგმებით განისაზღვრება თითოეული პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამის დამთავრებისას.

სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში მოხდება ცვლილება ან მისი გაუქმება, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. კოლეჯი მყისიერად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესში.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისას სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებისა და მათ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების პრაქტიკა დადასტურდა სტუდენტებთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, თანასწორობის, ინკლუზიურობის, ხარისხის უზრუნველყოფისა და უწყვეტი განვითარების პრინციპებს. **2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ: პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი გარემო აღჭურვილია იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროგრამა სრულად ითვალისწინებს სწავლების მეთოდებს და უზრუნველყოფს თანამედროვე მიდგომების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში.

სასწავლო პროცესი ორგანიზებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით. იგი მოიცავს თეორიულ სწავლებას, პრაქტიკულ სამუშაოებს, ლაბორატორიულ და პროექტულ აქტივობებს, ინტერაქტიულ სწავლებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებით სწავლებას. სწავლება ხორციელდება ისეთი მეთოდებით, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები დისტანციური სწავლების მიზნებიდან გამომდინარე აქტიურად იყენებენ Lms პლატფორმას. გარდა ამისა, ქმნიან ელექტრონულ სასწავლო პრეზენტაციებსა და შესაბამის დავალებებს.

დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა პრაქტიკულ საქმიანობაში აითვისონ თანამედროვე ხელსაწყოები.

პროგრამის ეფექტურობის მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას. მასწავლებლებს მუდმივად უტარდებათ ტრენინგები როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე, კოლეჯი მუდმივად აორგანიზებს და ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგებსა და მასტერკლასებს სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. მასწავლებლებს საშუალება აქვთ გაეცნონ დარგის ტექნოლოგიურ სიახლეებს, ამისათვის კოლეჯი იწვევს დარგის მოქმედ ექსპერტებს ან უზრუნველყოფს მასწავლებელთა პერიოდული ვიზიტებს პარტნიორ საწარმოებში შეხვედრებსა და ვორქშოფებზე. ექსპერტთა შეფასებით, **2.4.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ:

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმები და პროცედურები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შემთხვევები, შემუშავებაზე პასუხიმგებელი პირები და პროფესიულ სტუდენტთა სავალდებულო ჩართვისა და მათთან შეთანხმების მექანიზმები. განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებაზე ზრუნვას, მათ შორის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას კოლეჯი მიმართავს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო მიდგომებს.

კოლეჯში მოქმედებს 24/03/2026 წლის №01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა, როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც წამოიჭრება ამის საჭიროება. კოლეჯის დირექტორი ქმნის კომისიას, რომელსაც ამტკიცებს სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობა შედიან - სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულის განმახორციელებელი პირი. კომისიის მიერ ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება, შემუშავებული პროექტის პროფესიული სტუდენტებისთვის გაცნობა კოლეჯის მიერ დადგენილ ვადებში. კომისია კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ოქმს, რომელსაც დანართის სახით დაერთვება პროექტი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობასთან დაკავშირებით.

პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაშიც ეხმარება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“. ექსპერტთა შეფასებით **2.4.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კულინარია" ხორციელდება დუალური მიდგომით (13 პროფესიული სტუდენტისთვის) და სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის" მიერ იმიტირებულ სამუშაო გარემოში (60 პროფრსიული სტუდენტისთვის). პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების უზრუნველსაყოფად კოლეჯს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება ორ სასწავლო საწარმოსთან:

- შპს ქარაფი (3 პროფესიული სტუდენტი);
- შპს ტურინვესტი (10 პროფესიული სტუდენტი).

აღნიშნული დაწესებულებები წარმოადგენენ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ პარტნიორ ორგანიზაციებს. თანამშრომლობა ეფუძნება ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებს და მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტებისთვის რეალურ სამუშაო გარემოში ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფას, პროფესიული უნარების განვითარებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებას.

გაფორმებული ხელშეკრულებით დეტალურად არის განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები და თანამშრომლობის პირობები, მათ შორის: საწარმოო ობიექტის ჩართულობა პროფესიულ სტუდენტთა შერჩევისა და ჩარიცხვისას, უზრუნველყოს იმ კომპონენტების გავლა, რომლებიც სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული, პროფესიულ სტუდენტთა სწავლების განხორციელებისათვის გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომელი/ინსტრუქტორი, რომელიც უზრუნველყოფს მათ სწავლებას, საწარმოო პროცესში მონაწილეობასა და მათ შეფასებას, აწარმოებს სტუდენტთა დასწრებისა და სტუდენტთა ჩანაწერების ჟურნალს, როგორც სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულების დამოწმებას.

საწარმოო ობიექტი ვალდებულია გააფორმოს პროფესიულ სტუდენტთან შრომითი ხელშეკრულება შესაბამისი ანაზღაურებით. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვას, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და პროფესიული სტუდენტების შესაბამის ინსტრუქტირებას.

ამასთან, ხელშეკრულებით განსაზღვრულია საწარმოო ობიექტზე ერთდროულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, რაც წარმოადგენს პროგრამაზე მისაღები სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთ საფუძველს და უზრუნველყოფს პრაქტიკული სწავლების ხარისხის, რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და თითოეული სტუდენტისათვის სათანადო სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას.

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა საწარმოო ობიექტების დათვალიერება. ადგილზე, კომპანიების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი გამოთქვამენ მზაობას უზრუნველყონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება. **2.4.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ: კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის "კულინარიის" ფარგლებში შემუშავებული აქვს უსაფრთხოების წესი. ასე კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 16/02/2026 წლის N01-04/40 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შრომის უსაფრთხოების წესი, რომელიც მოიცავს შრომის უსაფრთხოების და პირადი ჰიგიენის ნორმებს, უბედური შემთხვევების დროს რეაგირების/პირველადი დახმარების და ხანძარსაწინააღმდეგო წესებს. სასწავლო დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას განახორციელებს კონსტრუქციულად მდგრად შენობაში, რომელშიც გათვალისწინებულია სახანძრო და საევაკუაციო მოთხოვნები, შენობა აღჭურვილია საევაკუაციო სანათი ნიშნებით და ოპერირებული ცეცხლმაქრი მოწყობილობებით, დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი სისტემატურად ახორციელებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რისკების შეფასებას, ასევე რეგულარულად ატარებს ტრენინგებს პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. აღნიშნული პროგრამის სწავლებისათვის კოლეჯში ასევე მოქმედებს ,,სასწავლო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესები", რომელშიც გაწერილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების, აღჭურვილობის შემოწმებისა და მოვლის საკითხები; განსაზღვრულია შრომის ორგანიზება და გარემო, შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა მუშაობისას, ექსტრემალურ სიტუაციაში ქცევის წესები.

გარდა ამისა, პარტნიორთან სასწავლო საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას. **2.4.1.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- სასწავლო გეგმები;
- სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის" „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში" (2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანება; ცვლილება 27/05/2025 N 01-04/105)
- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (დამტკიცებულია 2026 წლის 24 მარტის N01-04/74 ბრძანებით);
- მასწავლებელთა სერტიფიკატები, სამუშაო შეხვედრებზე დასწრების ფურცლები;
- საწარმოო ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარია" სასწავლო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესები (დამტკიცებულია 16.02.2026, ბრძანება N01-04/40);
- ინტერვირების შედეგები;
- ვიზიტის დროს შენობის ვიზუალური დათვალიერება.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ: დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულ ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დამტკიცებულია 24/03/2026 წლის №01-04/74 ბრძანებით) მე-5, მე-6 და მე-7 თავებში გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების, შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხები. ამ წესის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წარედგინება სასწავლო პროცესის ერთ-ერთ კოორდინატორს ტექნიკური მხარის შესამოწმებლად და პროგრამის ხელმძღვანელს შინაარსობრივი მხარის შესამოწმებლად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. დოკუმენტში აღწერილია განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები, განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ; მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს, უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტთა კონსულტირების, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მტკიცებულებების შენახვის საკითებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მილევად რეჟიმში მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მტკიცებულებები. შეფასების საკითხთან დაკავშირებით გაესაუბრა დაწესებულების წარმომადგენლებს, მასწავლებლებსა და სტუდენტებს. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. **2.4..2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ: დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც ადასტურებს, რომ კოლეჯში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და სამართლიანი.
კოლეჯში მოქმედებს 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222(ცვლილება 27/05/2025 N01-04/105) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის ჯგუფის ძირითადი ამოცანები, ვერიფიკაციის მიმართულებები და გაწერილია ძირითადი ეტაპები, რომლებიც მოიცავს ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევას, განხილვის ორგანიზებას, ფაქტობრივ გარემობებზე შეთანხმებას და ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენას.
შეფასების ვერიფიკაციის მიმართულებებია:

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დოკუმენტით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი. შიდა ვერიფიკაციის პროცესში ასევე ჩართულია ხარისხის მართვის სპეციალისტი, დარგის სპეციალისტები. ამ დოკუმენტის მიხედვით ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; გამჭვირვალობას; სამართლიანობას; ობიექტურობას. შესაბამისად, შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებების ობიექტურობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შერჩევა ხორციელდება რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დასკვნის სახით.
ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით.
ამავე დოკუმენტით დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა; შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის და შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა; შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი; შეფასების ფურცელი; ვერიფიკაციის დასკვნა.
გასაუბრებითა და ვერიფიკაციის მტკიცებულებების შესწავლით დადასტურდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. **2.4.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ: დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, კოლეჯი ვალდებულია მოდულების შედეგების შეფასების მტკიცებულებები შეინახოს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ მტკიცებულებები გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით. მტკიცებულებები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. მტკიცებულებები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად. **2.4.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ: დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ კოლეჯში რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტენტთა ინფორმირების, კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა; კოლეჯში ხორციელდება სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგი. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია მათი პერსონალური მონაცემები.
სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.
სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ როგორ განავითაროს შედეგი და რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიული მასწავლებლები პერიოდულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში პროფესიულ სტუდენტებთან, რომელიც გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. **2.4.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუირება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.1 განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია კოლეჯმა პროგრამის მიზანშეწონილობის კვლევისას უფრო ფართო მასშტაბით ასახოს საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები;

2.2.1.3 განმავითარებელი რეკომენდაცია: პროფესიული მოდულის ,,ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები“ 1,2,3 სწავლის შედეგის განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია აღნიშნულ მოდულს დაემატოს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი;

2.2.1.5 განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს სხვადასხვა ავტო მწარმოებლის ტექ. მომსახურების და რემონტის სახელმძღვანელოს მოძიება და სწავლების პროცესში მისი პრაქტიკული გამოყენება.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 21/07/2026 წლის №962319 კორესპონდენციის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და რეკომენდაციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება/Light Vehicle electric and electronic system repair
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთებაში/ Basic Vocational Qualification in Light Vehicle electric and electronic system repair
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	16/02/2026 ბრძანება N 01-04/37 (ცვლილება 03.07.2026 წ. ბრძანება №01-04/180)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაბუთება

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. პსდ-ს გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განხორციელებასთან დაკავშირებით შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, კერძოდ დაწესებულების მისიაა ,,პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა". კოლეჯის გადაწყვეტილება წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და განხორციელების შესახებ ეფუძნება პსდ-ს 2026-2032 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ სტრატეგიულ მიზანს, რაც თავის მხრივ განმტკიცებულია მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" თვითშეფასების ფორმაში არსებული მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი გვაძლევს სრულ სურათს პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის კვლევები, როგორც რეგიონის ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის LMIS, GFA, PMCG პლატფორმების მიერ განხორციელებული კვლევების ანალიზს და საქართველოში არსებული დასაქმების ვებ-გვერდებზე განთავსებული ვაკანსიების სტატისტიკური ინფორმაციის მოკვლევის შედეგებს. კოლეჯს აქვს მსგავსი დასახელების პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი პრაქტიკა, შედეგად წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის კვლევის ანალიზი, რომელიც საკმაოდ ზოგადია არ იძლევა ამომწურავ სურათს არსებული, მილევად რეჟიმში მყოფი პროგრამის კურდამთავრებულების დასაქმების შესახებ, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილში განმარტებულია, რომ დასაქმებულია კურსდამთავრებულთა ,,უმეტესი ნაწილი", ამავე დროს კოლეჯს წარმოდგენილი აქვს უნარების სააგენტოს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც ტრანსპორტის და ავტომობილების მომსახურების სფეროში დასაქმების მაჩვენებელი 80%-ს აღემატება. მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ მიზანშეწონილი იქნება დაწესებულებამ სამომავლოდ უფრო მეტი დრო დაუთმოს საკუთარი პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების კვლევას და შედეგების ანალიზს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: *მიზანშეწონილია კოლეჯმა პროგრამის მიზანშეწონილობის კვლევისას უფრო ფართო მასშტაბით ასახოს საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები.* **ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია.**

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და წარმოადგენს საბაზო განათლება, რაც თავის მხრივ სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით და დაწესებულების მიერ დამტკიცებული რეგულაციების შესაბამისად. დაშვებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები (სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა, შიდა და გარე მობილობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები და სხვ.) დეტალურად არის გაწერილი კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" (დამტკიცებულია: 2026 წლის 24 მარტის N N01-04/74 ბრძანებით). სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საკითხი; ხოლო პირის კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის თანაბარ შესაძლებლობებს, გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღებასა და სამართლიან ადმინისტრაციულ პროცესს. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების პროცედურები უზრუნველყოფს ისეთ პირთა დაშვებას, რომლებიც პროგრამის განხორციელების ვადაში შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ, კოლეჯის დირექტორის მიერ 2022 წლის 14 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამკტიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის" მიხედვვით, კოლეჯის კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, კოლეჯის ადამიანური და მატერიალური რესურსი მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, ინტეგრირებული პროგრამების განხორციელების ლაბორატორიების სამუშაო ადგილების რაოდენობა და დატვირთვა, ფინანსური რესურსი, პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობები და სხვ.
დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის, სხვადასხვა ცვლებში მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე განისაზღვრება პროგრამის განხორციელების მიდგომისა და სპეციფიკის გათვალისწინებით საჭირო მატერიალური და ადამიანურ რესურსი, სასწავლო გარემოთა ტიპი და ოდენობა. კვოტის განსაზღვრის დროს გაითვალისწინება პროგრამის ხანგრძლივობა და სასწავლო გეგმის სპეციფიკა, საპროგნოზო ბიუჯეტი; კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებელია, რომ კოლეჯი მუშაობს რამდენიმე ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 40 პროფესიული სტუდენტი. პსდ-ს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს ერთი სალექციო აუდიტორია - A გარემო 15 პროფესიულ სტუდენტზე, ერთი B გარემო 15 პროფესიულ სტუდენტზე და თეორიული/პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო - ერთი A/C გარემო შესაბამისი ინვენტარით 15 პროფესიულ სტუდენტზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულება აქვს 40 სტუდენტის ერთდროულად მიღების რესურსი. თუმცა გეგმავს პირველ მიღებაზე ორი ჯგუფის მიღებას (ორ ცვლიანი სწავლებით), დარჩენილ კვოტაზე მიღებას მომდევნო წელს გამოაცხადებს.

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა და პარტნიორ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით დასტურდება, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **2.1.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოცემული პროგრამის განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსის მინიმალური სარეკომენდაციო ნუსხა, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. აღნიშნული რესურსი განთავსებულია კოლეჯის საიტზეც, სადაც ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსი ყველა პროფესიული სტუდენტისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის. ასევე, კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსი. რესურსის არსებობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა ვიზუალური დათვალიერებით და რესურსების ფლობის/შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევასა და მონიტორინგს, საჭიროების შემთხვევაში განახლებას ან გაუმჯობესებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ხარისხის შენარჩუნებას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში.

2.1.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს. **2.1.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილი პირი განისაზღვრება კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ 2023 წლის 06 ივნისის №01-04/112 (ცვლილება, დირექტორის 27.05.2025 წ. №01-04/106 ბრძანება) დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესი". საფუძველზე და შესაბამისად აღნიშნული უფლებამოსილება აქვს კოლეჯის დირექტორს.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 16.02.2026 წ. №01-04/37 (ცვლილება, დირექტორის 03.07.2026 წ. №01-04/144 ბრძანება) ბრძანებით.

2.1.1.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, რომელიც გამომდინარეობს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებიდან; აღნიშნული სახელწოდება სრულად მოდის შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან და მისაღწევ სწავლის შედეგებთან, შესაბამისად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ არ არის შეცდომაში შემყვანი. **2.1.1.7 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ საფუძველზე.

წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

2.1.1.8 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ მისია;
- სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესი";
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის წესი’’;
- განაცხადის დანართის სახით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ დირექტორის ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქვს 40 სტუდენტის ერთდროულად მიღების რესურსი. თუმცა გეგმავს პირველ მიღებაზე ორი ჯგუფის მიღებას (ორ ცვლიანი სწავლებით), დარჩენილ კვოტაზე მიღებას მომდევნო წელს გამოაცხადებს.

სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა გარემო, გაეცნო დოკუმენტაციას და გაესაუბრა პროფესიული პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განმახორციელებლებს. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ მიერ პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი A, B და A/C სასწავლო გარემოში არსებული მატერიალური რესურსის შესაბამისობა.

A სასწავლო გარემო აღჭურვილია სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, 15 ერთეული სტუდენტის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დემონსტრირების ციფრული საშუალება და სხვა ინვენტარი.
B სასწავლო გარემოში განთავსებულია 15 პერსონალური კომპიუტერი, რომლებიც განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; B გარემოს დატვირთვა გაკეთებული აქვთ ისე, რომ მისი გამტარუნარიანობა შესაბამისი იყოს სხვა პროგრამების განსახორციელებლადაც.

რამდენადაც წარმოდგენილი პროგრამა განხორციელდება რეალურ სასწავლო გარემოში კოოპერაციული მიდგომით, ამდენად უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც პსდ-ს A/C სასწავლო გარემოში, ისე პარტნიორი ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული აღჭურვილობის შესაბამისობა პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ A/C სასწავლო გარემოს შეფასებისას დადგინდა, რომ სასწავლო გარემოს აღჭურვილობა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით და მისი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, A/C სასწავლო გარემოში წარმოდგენილია 15 ერთეული სტუდენტის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დემონსტრირების ციფრული საშუალება, მსუბუქი ავტომობილი სასწავლო დანიშნულებით, სასწავლო დანიშნულების მქონე 2 მსუბუქი ავტომობილი, ავტომობილის ამწე, სადიაგნოსტიკო მოწყობილობები, იარაღების კომპლექტები, ავტომობილის სხვადასხვა აგრეგატები და კვანძები, დანართით განსაზღვრული სხვა დამხმარე მოწყობილობა და ინვენტარი, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს პროგრამით გათვალისწინებული მოდულების ყველა სწავლის შედეგი დაფაროს გარდა ერთი მოდულის ,,ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილის სერვისი“ 2 სწავლის შედეგისა, მოცემული მოდულის 2 სწავლის შედეგის განხორციელების მიზნით დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს შპს ,,ჯი თი მოტორსთან“ 2026 წლის 18 თებერვალს, მემორანდუმის მიხედვით განსაზღვრულია პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე განხორციელებული მოდულის დასახელება, სწავლის შედეგების მითითებით, მოცემულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე წარმოდგენილია ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების ელექტრული და ელექტრონული სისტემების სადიაგნოსტიკო მოწყობილობები, მაღალ ძაბვაზე მომუშავე მზომი ხელსაწყოები, ავტომობილის ამწეები, იარაღებისა და სამარჯვების კომპლექტები, საწარმოო ზონაში, სადაც განხორციელდება სწავლება განთავსებულია უსაფრთხოების წესები, პიქტოგრამები და სხვა გამაფრთხილებელი ნიშნები. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კომპანიის წარმომადგენლებს, რომელთაც თავის მხრივ გამოთქვეს მზადყოფნა სრული დახმარება გაუწიონ კოლეჯს და მის სტუდენტებს სწავლის შედეგებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით 2.2. კომპონენტი ,,საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი" წარმოდგენილია როგორც ,,მეტწილი შესაბამისი", დაწესებულების დირექტორის 27/05/2026 წ. №01-04/193 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ,,ავტომობილის დაკიდების, საჭით მართვისა და უსაფრთხოებისა და გატაცების საწინააღმდეგო სისტემის" ელექტრონული კომპონენტების შესყიდვას, რამდენადაც აღნიშნული ელექტრონული დეტალები არ გამოიყენება პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკული კომპონენტის (მოდულების) განხორციელების მიზნით და მხოლოდ საჩვენებელი დატვირთვის მქონეა და მხოლოდ ერთი თეორიული მოდულის ,,ავტომობილის მოწყობილობა" განხორციელებისთვის იქნება საჭირო, მისი ფიზიკური არსებობა სწავლის შედეგების განხორციელების თვალსაზრისით არაა სავალდებულო, აღნიშნული მიზნით პროფესიული განათლების მასწავლებელმა შესაძლოა გამოიყენოს სხვადასხვაგვარი ვიდეორგოლები, კომპიუტერული 3D ფაილები (სურათები) და სხვა საშუალებები, რომელთა არსებობა დადასტურებულია ვიზიტის ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი ავტომობილის ელექტრონული კომპონენტების არარსებობა სწავლის შედეგების განხორციელებას ხელს შეუშლის და თვლის, რომ 2.2.1.1 კომპონენტი დაკმაყოფილებულია და შესაბამისად 2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2.2.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი აქედან 3 ზოგადი მოდულისთვის, 5 პროფესიული მოდულებისთვის, ხოლო 2 ქართული ენის მოდულისთვის. ვიზიტის დროს გადამოწმდა მათთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებების არსებობა და მისი შესაბამისობა კანონმდებლობასთან. ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პერსონალი შეძლებს გაუძღვეს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველ მოდულებს. შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოდულის განმახორციელებელის ჩანაცვლება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებლით.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლა და მათთან გასაუბრება. წარმოდგენილი მასალები დამაკმაყოფილებელია და პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენცია იძლევა პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტაცია: დიპლომები და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების უმეტესობას გავლილი აქვთ ტრენინგი ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი", რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი სერტიფიკატები, აღნიშნული ტრენინგ-კურსის თემატიკის ერთ-ერთი კომპონენტია მოდულური სწავლების თავისებურებები. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

პროგრამის განაცხადით წარმოდგენილი დანართი #2 დოკუმენტის მიხედვით პროფესიული მოდულის ,,ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები" განმახორციელებლებად განსაზღვრულია 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაც უდასტურდებათ უცხო ენის კვალიფიკაცია, მაგრამ აღნიშული მოდულის სწავლის შედეგების განხორციელება მხოლოდ უცხო ენის კვალიფიკაციის მქონე პირისთვის, ვფიქრობთ, გარკვეულ სირთულეს წარმოქმნის, რამდენადაც წარმოდგენილი მოდულის 4 სწავლის შედეგიდან 3 მოიცავს ელექტრული სქემების, ბლოკ-სქემების წაკითხვას და სფეროსთვის დამახასიათებელი აბრევიატურების სწავლებას, განაცხადის დანართით განსაზღვრული განმახორციელებლების განმარტებით, მათ იმუშავეს აღნიშნული მოდულის ფარგლებში დარგის სპეციალისტებთან და მათი ჩართულობით მოახდენენ სასწავლო პროცესის წარმართვას, რაც მეტნაკლებად გამორიცხავს შესაძლო პრობლემებს. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია აღნიშნული მოდულის განხორციელების მიზნით დაწესებულებამ დაამატოს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: *პროფესიული მოდულის ,,ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები" 1,2,3 სწავლის შედეგის განხორციელების მიზნით, აღნიშნულ მოდულს დაემატოს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი.*

2.2.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით, ხოლო მასთან გასაუბრებით დადასტურდა მისი მზაობა პროგრამას უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული შეთანხმებით. ექსპერტების ჯგუფის მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის მოდიფიცირებისა და განხორციელების პროცესში. **2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუდმივად წარმოებს ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალის შევსება. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ვიზიტის პერიოდში გადამოწმებისას ადგილზე აღმოჩნდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი მოძიებადია და შეესაბამება მოდულში გაწერილ თემატიკას.

აღსანიშნავია, რომ გარდა მოდულით განსაზღვრული სასწავლო რესურსისა, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლების პროცესში აუცილებელია გამოყენებულ იქნას კონკრეტული ავტომობილის/ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელო, რომელიც გამოცემულია ქარხანა-დამამზადებლის, ან სხვა გამომცემლის მიერ, შესაძლებელია აღნიშნული ინფორმაცია პროგრამული უზრუნველყოფის სახითაც იყოს წარმოდგენილი. დაწესებულებამ წარმოადგინა მის საკუთრებაში არსებული სასწავლო დანიშნულების მქონე ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელოები, რაც გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში. მნიშვნელოვანია დაწესებულებამ მუდმივად იზრუნოს აღნიშნული ,,სერვის მანუალების“ განახლებაზე - ახალი ავტომობილების ტექ-მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელოების მოძიებაზე და მათი სასწავლო პროცესში გამოყენებაზე.

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: *დაწესებულებამ უზრუნველყოს სხვადასხვა ავტო მწარმოებლის ტექ. მომსახურების და რემონტის სახელმძღვანელოს მოძიება და პრაქტიკული გამოყენება.*

2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

კოლეჯში შექმნილია პირობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის განათლების მისაღებად და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის საზოგადოებაში; კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 45-ე მუხლი მოიცავს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. კერძოდ, ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნით, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის მობილიზებას და უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას; საჭიროების შემთხვევაში სსსმ პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, უზრუნველყოფს სოციალურ ადაპტაციას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ამასთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის სასწავლო გარემო ადაპტირებულია შშმ პირების თავისუფლად გადაადგილებისათვის. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ინდივიდუალური გეგმების შედგენის პრაქტიკა, გაესაუბრა ინკლუზიური განათლების სპეციალისტს, ჟესტური ენის სპეციალისტს, პროფესიული განათლებლის მასწავლებლებს. აღნიშნულის შედეგად დადასტურდა, რომ არსებული რეგულაცია და განმახორციელებელთა გამოცდილება, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენასა და სასწავლო რესურსებთან ხელმისაწვდომობას სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. **2.2.1.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯს პროგრამაზე ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დამუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯვითი კომპონენტის ამსახველი დოკუმენტი წარმოდგენილი იქნა დაწესებულების მიერ, ბიუჯეტი ეფუძნება ვაუჩერულ დაფინანსებას, განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი 11 პროფესიული სტუდენტი, დოკუმენტი მოიცავს პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის საჭირო რესურსების შეძენაზე გაწეულ ხარჯებს. წარმოდგენილი ინფორმაციის შეფასების შედეგად ვლინდება, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია და მის განხორციელებას საფრთხე არ დაემუქრება. **2.2.1.7 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განსახორციელებლად საჭირო A და A/C გარემოს ვიზუალური დათვალიერება და აღჭურვილობის ჩამონათვალი;
- ინტერვიუ შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული შეთანხმება;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- პარტნიორ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ დირექტორის ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები, რომელიც ეყრდნობა დემინგის ციკლს. კოლეჯის დირექტორის მიერ 2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანებით (ცვლილება 2025 წლის 27 მაისი, ბრძანება №01-04/106) დამტკიცებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესი", რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხელს უწყობს კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს პროცესების იდენტიფიცირებას, დაგეგმვას, განვითარებას, მონიტორინგის გეგმის შედგენას, მონიტორინგის განხორციელებას და პროცესების შეფასებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება, სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა, მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება, ვერიფიკაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, კურსდამათავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით.

პროგრამების განვითარებაზე ზრუნვას კოლეჯი ახორციელებს როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით. პირველ შემთხვევაში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს: თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. ინფორმაცია შესაძლოა მიღებული იქნას როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, რომელიც სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ აანალიზებს მოდულის განხორციელების მიმდინარეობას და გამოყოფს საკითხებს, რომელთა გაუმჯობესებაც რეკომენდებულია, ასევე პროფესიული სტუდენტებისაგან, რომლებმაც უკვე დაასრულეს მოდული. შესაძლოა სწავლის მეთოდებისა და მიდგომების ან სასწავლო რესურსების გაუმჯობესების წყაროდ იქცეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საერთაშორისო პრაქტიკა, რომელსაც გაეცნო კოლეჯი და თვლის, რომ მისი დანერგვით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს.

პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ თუ საერთაშორისო გამოცდილებას. **2.3.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ, კოლეჯს შემუშავებული აქვს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესი", რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის განვითარებას და ცვლილებების განხორციელების შემთხვევებს და ცვლილებების განხორციელების პროცედურას. კოლეჯის ხარისხის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლის „დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე-განავითარე" მოდელზე. პროგრამის შეფასება ხდება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებზე დაყრდნობით, რომლის ფარგლებში ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის (პროფესიული სტუდენტი, დამსაქმებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი) გამოკითხვა და შედეგების ანალიზი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ხარისხის მენეჯერის რეკომენდაციების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები. ცვლილებების პროცედურები ხორციელდება აღნიშნული წესის შესაბამისად.

პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს.

სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი გააანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები მასში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" შესაბამისად. ექსპერტთა შეფასებით, **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესი" (2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანება (ცვლილება 2025 წლის 27 მაისი, ბრძანება №01-04/106);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“ (2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანება; ცვლილება 27/05/2025 N 01-04/105);
- პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლის, მასწავლებლის კითხვარები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განაცხადის დანართებში წარმოდგენილია სასწავლო გეგმა. სასწავლო პროცესის განხორციელების დაგეგმვისას სასწავლო გეგმებში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის; სასწავლო გეგმები აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს კოლეჯში დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

N01-04/222 ბრძანებით (ცვლილება 27/05/2025 N 01-04/105) „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“, დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად.

პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მოქმედი (მილევადი სტატუსის მქონე) პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით გაწერილი კალენდარული გეგმების შესაბამისობის შემოწმება და დადგინდა, რომ კალენდარული გეგმები სასწავლო გეგმაში გაწერილი თარიღების შესაბამისია, მოიცავს მოდულით განსაზღვრულ თემატიკას. **ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ საწავლო პროცესი მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დამტკიცებულია 2026 წლის 24 მარტის N N01-04/74 ბრძანებით) მიხედვით კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად რეაგირებს ყველა შემხვედრ საჭიროებაზე, კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში დისტანციური სწავლების დროს, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტთა რესურსებით უზრუნველყოფაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და/ან დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციების ჩატარებაში. სასწავლო გეგმებით განისაზღვრება თითოეული პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამის დამთავრებისას.

სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში მოხდება ცვლილება ან მისი გაუქმება, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. კოლეჯი მყისიერად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესში.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისას სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებისა და მათ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების პრაქტიკა დადასტურდა დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, თანასწორობის, ინკლუზიურობის, ხარისხის უზრუნველყოფისა და უწყვეტი განვითარების პრინციპებს. **2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა აღჭურვილია სწავლის შედეგის მიღწევისთვის საჭირო ყველა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით და შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიებით. უმეტესად ესაა ავტომობილის სადიაგნოსტიკო თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, რომელიც გამოიყენება მსუბუქი ავტომობილის ძრავას ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის პროცესში.

დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები დისტანციური სწავლების მიზნებიდან გამომდინარე აქტიურად იყენებენ Lms პლატფორმას. გარდა ამისა, ქმნიან ელექტრონულ სასწავლო პრეზენტაციებსა და შესაბამის დავალებებს.

სასწავლო პროცესი ორგანიზებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით. იგი მოიცავს თეორიულ სწავლებას, პრაქტიკულ სამუშაოებს, პროექტულ აქტივობებს, ინტერაქტიულ სწავლებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლებას. სწავლება ხორციელდება ისეთი მეთოდებით, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

პროფესიულ მასწავლებლებს პირადი საქმეებისა და გასაუბრების საფუძველზე უდასტურდებათ დარგობრივ და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებულ ტრენინგებზე დასწრება. **2.4.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმები და პროცედურები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შემთხვევები, შემუშავებაზე პასუხიმგებელი პირები და პროფესიულ სტუდენტთა სავალდებულო ჩართვისა და მათთან შეთანხმების მექანიზმები. განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებაზე ზრუნვას, მათ შორის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას კოლეჯი მიმართავს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო მიდგომებს.

კოლეჯში მოქმედებს 24/03/2026 წლის №01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა, როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც წამოიჭრება ამის საჭიროება. კოლეჯის დირექტორი ქმნის კომისიას, რომელსაც ამტკიცებს სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობა შედიან - სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულის განმახორციელებელი პირი. კომისიის მიერ ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება, შემუშავებული პროექტის პროფესიული სტუდენტებისთვის გაცნობა კოლეჯის მიერ დადგენილ ვადებში. კომისია კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ოქმს, რომელსაც დანართის სახით დაერთვება პროექტი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაშიც ეხმარება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში". ექსპერტთა შეფასებით **2.4.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა" მიერ განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული მიდგომით, შესაბამისად აღნიშნული პროგრამის განხორციელების ფარგლებში კოლეჯს მოდულის ,,ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილის სერვისი" 2 სწავლის შედეგის განხორციელების მიზნით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს (კოლეჯის ავტორიზაციის ვადით) შპს ,,ჯი თი მოტორსთან" 2026 წლის 18 თებერვალს, მემორანდუმის მიხედვით განსაზღვრულია პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე განხორციელებული მოდულის დასახელება, სწავლის შედეგების მითითებით, მოცემულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე წარმოდგენილია ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების ელექტრული და ელექტრონული სისტემების სადიაგნოსტიკო მოწყობილობები, მაღალ ძაბვაზე მომუშავე მზომი ხელსაწყოები, ავტომობილის ამწეები, იარაღებისა და სამარჯვების კომპლექტები; საწარმოო ზონაში, სადაც განხორციელდება სწავლება განთავსებულია უსაფრთხოების წესები, პიქტოგრამები და სხვა გამაფრთხილებელი ნიშნები. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კომპანიის წარმომადგენლებს, რომელთაც თავის მხრივ გამოთქვეს მზადყოფნა სრული დახმარება გაუწიონ კოლეჯს და მის სტუდენტებს სწავლის შედეგებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაში. **2.4.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" სალექციო მეცადინეობები ჩატარდება A სასწავლო გარემოში, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს მის საკუთრებაში არსებული A/C სასწავლო გარემო და პარტნიორი ორგანიზაციის სივრცე შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური რესურსით. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. A/C გარემოში მოთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი, ცეცხლმაქრი. გამოკრულია მუშაობისა და უსაფრთხოების დაცვის წესები, ძალური დანადგარები (ამწეები, ჩარხები და ა.შ.) აღჭურვილია უსაფრთხოდ ექსპლუატაციის პიქტოგრამებით. დაწესებულების შენობა არის უსაფრთხო, კოლეჯ „ახალი ტალღას" შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები. **2.4.1.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- სასწავლო გეგმა/გეგმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პაკეტი;
- პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმი;
- უსაფრთხოების წესები;
- სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“;
- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- მასწავლებელთა სერტიფიკატები;
- ინტერვირების შედეგები;
- სივრცეების ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ:** დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულ ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დამტკიცებულია 24/03/2026 წლის №01-04/74 ბრძანებით) მე-5, მე-6 და მე-7 თავებში გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების, შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხები. ამ წესის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წარედგინება სასწავლო პროცესის ერთ-ერთ კოორდინატორს ტექნიკური მხარის შესამოწმებლად და პროგრამის ხელმძღვანელს შინაარსობრივი მხარის შესამოწმებლად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. დოკუმენტში აღწერილია განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები, განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ; მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს, უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტთა კონსულტირების, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მტკიცებულებების შენახვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკითებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მილევად რეჟიმში მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მტკიცებულებები. შეფასების საკითხთან დაკავშირებით გაესაუბრა დაწესებულების წარმომადგენლებს, მასწავლებლებსა და სტუდენტებს. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. **2.4.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ:** დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც ადასტურებს, რომ კოლეჯში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და სამართლიანი.

კოლეჯში მოქმედებს 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222(ცვლილება 27/05/2025 N01-04/105) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის ჯგუფის ძირითადი ამოცანები, ვერიფიკაციის მიმართულებები და გაწერილია ძირითადი ეტაპები, რომლებიც მოიცავს ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევას, განხილვის ორგანიზებას, ფაქტობრივ გარემობებზე შეთანხმებას და ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენას.

შეფასების ვერიფიკაციის მიმართულებებია:

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დოკუმენტით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი. შიდა ვერიფიკაციის პროცესში ასევე ჩართულია ხარისხის მართვის სპეციალისტი, დარგის სპეციალისტები. ამ დოკუმენტის მიხედვით ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას; სანდოობას; გამჭვირვალობას; სამართლიანობას; ობიექტურობას. შესაბამისად, შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებების ობიექტურობა.

შერჩევა ხორციელდება რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დასკვნის სახით.

ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით.

ამავე დოკუმენტით დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა; შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის და შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა; შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი; შეფასების ფურცელი; ვერიფიკაციის დასკვნა.

გასაუბრებითა და ვერიფიკაციის მტკიცებულებების შესწავლით დადასტურდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. **2.4.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ: დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, კოლეჯი ვალდებულია მოდულების შედეგების შეფასების მტკიცებულებები შეინახოს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ მტკიცებულებები გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით. მტკიცებულებები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. მტკიცებულებები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად. **2.4.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ: დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ კოლეჯში რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტენტთა ინფორმირების, კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა; კოლეჯში ხორციელდება სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგი. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია მათი პერსონალური მონაცემები. სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.
სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ როგორ განავითაროს შედეგი და რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიული მასწავლებლები პერიოდულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში პროფესიულ სტუდენტებთან, რომელიც გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. **2.4.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუირება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

II სტანდარტი

ინდიკატორი 2.2.1.1
დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 2026 წლის 18 მარტის N 07 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 30.11.2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კონდიტერია" პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭიროა კონდიტერიის ლაბორატორიისთვის დამატებითი აღჭურვილობის შეძენა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 21/07/2026 წლის №962319 კორესპონდენციის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	კონდიტერია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში/Secondary Vocational Qualification in Confectionery
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	16/02/2026 წლის N 01-04/37 ბრძანებით (ცვლილება 03/07/2026 №01-04/180 ბრძანება)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კონდიტერია“ განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება, გამომდინარეობს სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღის“ მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან და ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დასაბუთება ეფუძნება შრომის ბაზრის ანალიზს და ასახავს რეგიონში არსებული საჭიროების შესწავლას. დასაბუთებაში მკაფიოდ გამოხატულია პროგრამის საჭიროება და მიზნობრიობა, რაც ადასტურებს მის შესაბამისობას დაწესებულების მისიასთან - პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად ეყრდნობა დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 29 იანვრის N01-04/13 ბრძანებით და რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტია ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა და მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმისაწვდომობის გაზრდა. რაც მიზნად ისახავს სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.

აჭარის რეგიონი ბოლო წლებში სწრაფი ეკონომიკური განვითარების გზაზეა, რაც აისახება როგორც ტურიზმის, ასევე კვების ინდუსტრიის მზარდ აქტივობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია საკონდიტრო საწარმოებისა და კვების ობიექტების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც მოიცავს როგორც მცირე კაფეებს და სახლის ტიპის საცხობებს, ისე თანამედროვე კვების ობიექტებს და სასტუმროებს. დაწესებულებამ გაანალიზა რეგიონული ბაზრის კვლევა, რომლის მიხედვითაც განსაკუთრებული მოთხოვნაა კვალიფიციურ ტორტების, დესერტებისა და თანამედროვე დიზაინის საკონდიტრო ნაწარმის ოსტატებზე. ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით (LMIS, GFA, PMCG, პროფესიული უნარების სააგენტოს მონაცემები) შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვებისა და სერვისის სექტორში განსაკუთრებით მაღალია მოთხოვნა კვალიფიციურ სპეციალისტებზე, მათ შორის საკონდიტრო ოსტატებზე.

კოლეჯმა განახორციელა დამსაქმებლებისა და პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის სისტემური ანალიზი, რომელიც ადასტურებს, რომ კონდიტერიაში მომზადებული კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი რეგიონში და ქვეყანაში დიდია. ანალიზის შედეგებით, მკაფიოდ იკვეთება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროება, რომელიც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების სრულ მზადყოფნას შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კოლეჯის მიერ ჩატარებული კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგისა და ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კონდიტერია“ კურსდამთავრებულები გამოირჩევიან მაღალი დასაქმებისუნარიანობით.

გამოკითხული კურსდამთავრებულების 90% დასაქმდა სწავლის დასრულებიდან პირველი 6 თვის განმავლობაში. მათგან 70% დასაქმდა დამოუკიდებლად როგორც თვითდასაქმებული ოსტატი ან მცირე მეწარმე. 20% კურსდამთავრებულისა სამუშაო საქმიანობას აგრძელებს სეზონურად ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. გამოკითხულ დამსაქმებელთა 82% დადებითად აფასებს კურსდამთავრებულთა პრაქტიკულ და ტექნიკურ უნარებს. მხოლოდ 10% კურსდამთავრებულებისა ამჟამად რჩება უმუშევარი, რაც დაკავშირებულია პირად გარემოებებთან (მიგრაცია, სწავლის გაგრძელება და სხვა).

სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 ბრძანებით (ცვლილება: 2025 წლის 27 მაისის N01-04/106 ბრძანება) დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ არეგულირებს სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს. პროგრამის დამტკიცების პროცესს წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს პროგრამის დამატების ინიცირებას, სამუშაო ჯგუფის შედგენას, მისი დამატების მიზანშეწონილობის დადგენას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის მომზადებას და ხარისხის მენეჯერთან წარდგენას პროექტის რევიზიის მიზნით. პროგრამის შემუშავების საფუძველი, შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტი და სხვა დამატებითი სამართლებრივი საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტებია. ახალი პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯი, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი და სხვ., რომელიც განსახილველად წერილობით წარმოადგენს წინადადებას პროგრამის დამატების შესახებ. ახალი პროგრამის დამატების შესახებ მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერი მოიპოვებს ინფორმაციას და წარმოადგენს „პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას“. პროგრამის დამატების ინიციატივას და მის მიზანშეწონილობას იხილავს კოლეჯის დირექტორი დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, შესაბამისი დარგის სპეცილისტებთან ერთად. ინიციატივის განხილვის შემდეგ იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამზადებს პროგრამის პროექტს, ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, კოლეჯის ადამიანურ და მატერიალურ რესურსთან და სხვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის მომზადების შემდეგ დოკუმენტი გადაეგზავნება ხარისხის მართვის მენეჯერს ვალიდაციის მიზნით; პროგრამას ამტკიცებს დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის" განხორციელების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. **2.1.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კონდიტერია" განსაზღვრული დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ წინაპირობასთან და კოლეჯის მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან. კერძოდ, დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო იმ სასწავლო გეგმაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები – საბაზო განათლება. აღნიშნული მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ დაშვების წინაპირობებთან.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვითა და დაწესებულების მიერ დამტკიცებული რეგულაციების შესაბამისად. დაშვებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები (სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა, შიდა და გარე მობილობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები და სხვ.) დეტალურად არის გაწერილი კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" (დამტკიცებულია: 2026 წლის 24 მარტის N N01-04/74 ბრძანებით). სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საკითხი; ხოლო პირის კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის თანაბარ შესაძლებლობებს, გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღებასა და სამართლიან ადმინისტრაციულ პროცესს. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების პროცედურები უზრუნველყოფს ისეთ პირთა დაშვებას, რომლებიც პროგრამის განხორციელების ვადაში შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ: კოლეჯის დირექტორის მიერ 2022 წლის 14 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამკტიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის" მიხედვვით, კოლეჯის კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, კოლეჯის ადამიანური და მატერიალური რესურსი მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, ინტეგრირებული პროგრამების განხორციელების ლაბორატორიების სამუშაო ადგილების რაოდენობა და დატვირთვა, ფინანსური რესურსი, პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობები და სხვ.

დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის, სხვადასხვა ცვლებში მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით.

კვოტის განსაზღვრის დროს გაითვალისწინება პროგრამის ხანგრძლივობა და სასწავლო გეგმის სპეციფიკა, საპროგნოზო ბიუჯეტი; კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებელია, რომ კოლეჯი მუშაობს ორ ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯს წარმოდგენილი აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კონდიტერია“ ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,კონდიტერია“ შექმნილი აქვს ორი A, B და ორი C გარემო, რომელიც სრულად შეესაბამება სასწავლო პროცესის საჭიროებებს. დაწესებულებას ასევე აქვს და ინტეგრირებული პროგრამის ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით შესაბამისი ლაბორატორია. აღნიშნული გარემო აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მასალებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების ეფექტურობას.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში გათვალისწინებულია ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კონდიტერია“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების მიხედვით დაწესებულება აცხადებს მზაობას პროგრამაზე მიიღოს 60 სტუდენტი (ერთ მიღებაზე 30 სტუდენტი), აქედან 30 სტუდენტი ინტეგრირებულ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლებაზე.

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების და პროგრამის ანალიზით დასტურდება, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **2.1.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის ,,კონდიტერია“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსის შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები მოდულების შინაარსთან შესაბამისია და მათი მოცულობა სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. აღნიშნული რესურსი განთავსებულია კოლეჯის საიტზეც, სადაც ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსი ყველა პროფესიული სტუდენტისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის. ასევე, კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსი.

რესურსის არსებობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა ვიზუალური დათვალიერებით და რესურსების ფლობის/შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევასა და მონიტორინგს, საჭიროების შემთხვევაში განახლებას ან გაუმჯობესებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ხარისხის შენარჩუნებას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში. **2.1.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კონდიტერია“ ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს – „პრაქტიკული პროექტი - კონდიტერია“, რომელიც შინაარსობრივად და ფუნქციურად დაკავშირებულია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის სამომავლო პროფესიულ საქმიანობასთან. აღნიშნული მოდული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების პრაქტიკულ გამოყენებასა და ინტეგრირებას კონდიტერიის მიმართულებით.
მოდულის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ დაგეგმონ და განახორციელონ პრაქტიკული პროექტები, რაც ხელს უწყობს კონდიტერული ნაწარმის დამზადების პროცესების ეფექტიანად წარმართვის, ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულების, პროდუქტის ხარისხის კონტროლისა და პროფესიული სტანდარტების დაცვით მუშაობის უნარების განვითარებას. **2.1.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ: კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კონდიტერია“ დამტკიდებულია სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ დირექტორის მიერ 16/02/2026 წლის N 01-04/37 ბრძანებით (ცვლილება 03/07/2026 №01-04/180 ბრძანება). **2.1.1.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კონდიტერია“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,,კონდიტერია“ საფუძველზე. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგები და მათი შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. **2.1.1.7 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კონდიტერია“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - ,,კონდიტერია“ - (სარეგისტრაციო ნომერი 10.18.1) საფუძველზე. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (მ.შ. ზოგადი მოდულები, რომელთაგან ორი - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 განკუთვნილია მხოლოდ არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის), სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.
სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულებით განსაზღვრულ წინაპირობებს, დაცულია პროგრამის ლოგიკური განვითარება, დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის და პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კონდიტერია'' ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში, აერთიანებს 6 ინტეგრირებულ ზოგად მოდულს ჯამური 30 კრედიტის მოცულობით, 19 პროფესიულ მოდულს ჯამური 76 კრედიტის მოცულობით, 2 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის მოცულობით და 1 არჩევით მოდულს 5 კრედიტის მოცულობით.
  კონდიტერიაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 118 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 80 სასწავლო კვირას ანუ 20 სასწავლო თვეს.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,, კონდიტერია'' ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე, აერთიანებს 19 პროფესიულ მოდულს ჯამური 76 კრედიტის მოცულობით, 3 ზოგად მოდულს ჯამური 9 კრედიტის მოცულობით და 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არჩევით მოდულს 5 კრედიტის მოცულობით. კონდიტერიაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 90 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 70 სასწავლო კვირას ანუ 18 სასწავლო თვეს.

- მოდულების, ქართული ენა A2 (15 კრედიტი) და ქართული ენა B1 (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კონდიტერია“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კონდიტერია“ მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული რეგულაციები. პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავების მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 16/02/2026 წლის N 01-04/37 ბრძანებით (ცვლილება 03/07/2026 №01-04/180 ბრძანება) დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ აღნიშნული პირები.

2.1.1.8 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის წესი”;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კონდიტერია“;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კონდიტერიის“ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის დირექტორის ბრძანება“;
- საგანმანათლებლო პროგრამის ,,კონდიტერიის“ შემუშავების სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება“;
- ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კონდიტერიის“ კონტიგენტის განსაზღვრა“;
- კოლეჯის მისია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- გასაუბრება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ, კოლეჯს მფობელობაში აქვს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური რესურსი, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის სასწავლო გარემოში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს დადგენილი წესის შესაბამისად. კოლეჯი გეგმავს მიიღოს 60 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 30 სტუდენტი ინტეგრირებული სწავლების ფორმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის ,,კონდიტერიის“ სწავლების მიზნებისთვის გააჩნია (ორცვლიანი სწავლებისათვის 15 სტუდენტზე გათვლილი):

- ორი A აუდიტორია;
- ერთი B აუდიტორია;
- ორი C გარემო.

A სასწავლო გარემო აღჭურვილია სწავლის შედეგის მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, 15 ერთეული სტუდენტის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დემონსტრირების ციფრული საშუალება და სხვა ინვენტარი.

B სასწავლო გარემოში განთავსებულია 15 სტუდენტისთვის განსაზღვრული პერსონალური კომპიუტერი, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; B გარემოს დატვირთვა გაკეთებული აქვთ ისე, რომ მისი გამტარუნარიანობა შესაბამისი იყოს სხვა პროგრამების განსახორციელებლადაც.

C ტიპის სასწავლო გარემო წარმოადგენს სპეციალიზებულ სასწავლო ლაბორატორიებს, რომლებიც შეესაბამება კონდიტერიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მოთხოვნებს. გარემო აღჭურვილია დარგის სპეციფიკის შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობებით, ინვენტარითა და დამხმარე საშუალებებით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარების განვითარებას და სწავლის შედეგების მიღწევას. ლაბორატორიაში დაცულია შრომის უსაფრთხოების, სანიტარიულ-ჰიგიენური და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები; უზრუნველყოფილია სათანადო ვენტილაცია, განათება და სამუშაო სივრცის ორგანიზება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასწავლო გარემო ადაპტირებულია ჯგუფური და ინდივიდუალური პრაქტიკული საქმიანობის განსახორციელებლად.

დაწესებულებას ასევე აქვს ინტეგრირებული მოდულების (სპორტისა და მეცნიერება და ტექნოლოგიების) განსახორციელებლად საჭირო ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგურილებელი წესის მე-16 მუხლით რეგულირდება სსიპ კოლეჯ ახალ ტალღაში დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესი. კოლეჯი დისტანციური სწავლების, შეფასების და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები არეგულირებს დისტანციური სწავლების ფორმებს, დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესს (ადმინისტრირებას, მონიტორინგსა და დაკვირვებას).

კოლეჯში დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მოდელების გამოყენებით:

- სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში რომელიმე ელექტრონული საკომუნიკაციო პლატფორმის გამოყენებით ყველა სტუდენტისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვას;
- სრულად ელექტრონულად, ასინქრონულად, რაც გულისხმობს ვიდეო მეცადინეობების ან ხელმისაწვდომი სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო პლატფორმები ან/და ციფრული რესურსების გამოყენებით სწავლა-სწავლებას;
- ჰიბრიდულად, რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენებას, რაც შეიძლება იყოს დიფერენცირებული მოდულების, ჯგუფებისა და განაყოფების მიხედვით.

დისტანციური სასწავლო პროცესის წარმართვისა და დისტანციური სასწავლო რესურსების გამოყენების მიზნით კოლეჯი ახდენს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებას, კერძოდ, ელექტრონული პლატფორმა Teams გამოიყენება დისტანციური საგაკვეთილო პროცესისათვის.

პროგრამით გათვალისწინებულია რიგი მოდულების დისტანციურ რეჟიმში სწავლების შესაძლობლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული დოკუმენტში ასევე გაწერილია დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების, დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო რესურსების, სტუდენტთა დასწრების აღრიცხვის, შეფასების, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სხვა საკითხები.

განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ისინი იცნობენ დისტანციურად სასწავლო პროცესის წარმართვის რეგულაციას. მათ ნაწილს აქვს გამოცდილება დისტანციურად/ნაწილობრივ დისტანციურად მოდულების წაკითხვისა და საჭიროების შემთვევაში აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც შეძლებენ ცოდნის გამოყენებას.

დაწესებულებას პროგრამისთვის განსაზღვრული ჰყავს სულ 29 განმახორციელებელი პირი.

,,კონდიტერიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად პროგრამის თანაგანხორციელებაში არ არის სხვა დაწესებულება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

*აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯის მფობელობაში არსებული კონდიტერიის პროგრამის მატერიალ-ტექნიკური ბაზა სრულად არ არის შესაბამისობაში არსებული სტანდარტის მოთხოვნებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კონდიტერია" პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭიროა კონდიტერიის ლაბორატორიისთვის დამატებითი აღჭურვილობის შეძენა. კოლეჯმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული აღჭურვილობის შესყიდვა უნდა განხორციელდეს პერიოდში: 01.06.2026-30.11.2026-ის ჩათვლით. შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აღჭურვილობიდან მნიშვნელოვნად საჭიროა ლევიტაციის(ფერმეტაციის) კარადა, რომელიც ,,პურ-ფუნთუშეულის მომზადების" მოდულის სრულყოფილად განსახორციელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელ დანადგარს წარმოადგენს. აღნიშნული აპარატი უზრუნველყოფს ცომის ფერმენტაციის პროცესის ტემპერატურისა და ტენიანობის კონტროლს, რაც აუცილებელია ტექნოლოგიური პროცესების პროფესიული სტანდარტების შესაბამისად წარსამართავად. ფერმენტაციის აპარატი აუცილებელია სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად. ექსპერტთა შეფასებით **2.2.1.1 ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.***

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ,** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კონდიტერია" განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (სულ - 28 პროფესიული განათლების მასწავლებელი) და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ, მოდულების უმრავლესობაზე მინიმუმ 2 მასწავლებელია გათვალისწინებული. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილების დროს მხედველობაშია მიღებული ის, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათების ჩატარებით, ის ასრულებს სხვა მნიშვნელოვან აქტივობებსაც, როგორიცაა მომზადება მეცადინეობისათვის, საორგანიზაციო საკითხები, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და სხვა.

მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად მათი რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ერთ პროგრამაზე პროფესიული მასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკონტაქტო დატვირთვა არ აღემატება 32 საათს კვირაში, ორცვლიანი სწავლების პირობებში. **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ,** პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა ,,კონდიტერიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა როგორც პროფესიული მოდულების ასევე, ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს. გასაუბრებისა და შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციებს. შედგა გასაუბრება მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რითაც ასევე დადასტურდა მათი მაღალი კომპეტენცია.
განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები იყვნენ მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. **2.2.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება როგორც პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციით, ასევე გასაუბრებით. ის პროგრამის დანერგვის დღიდან მუშაობს დაწესებულებაში და ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას, სწავლების მაღალი ხარისხის შენარჩუნებას. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსის არგუმენტირებულ დასაბუთებას, აცნობს სტუდენტებს კოლეჯის შინაგანაწესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, ახდენს სტუდენტების ინფორმირებულობას მათი უფლება-მოვალეობების შესახებ. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გასაუბრებისას დაადასტურეს რომ ხელმძღვანელს მჭიდრო კავშირი აქვს როგორც ზოგადი, ასევე დარგობრივი მოდულების განხორციელების პროცესში.**2.2.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ: კოლეჯი აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში. ბიბლოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. კოლეჯის ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელსაც გაჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინოდ არის გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, რომელიც ხელმისაწვდომია კოლეჯის ყველა პროფესიული სტუდენტისათვის. ექსპერტებმა ელექტრონული სარგებლობის წესის შესაბამისად თავადვე მოიძიეს შერჩევით სახელმძღვანელო და ჩამოტვირთეს წიგნის ციფრული ვერსია. ასევე, მოდულებში საგანმანათლებლო რესურსების სახით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების გამოყენებიათვის კოლეჯის მასწავლებლებს მუდმივად აქვთ განახლებულ აქტებზე წვდომა, რისთვისაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოიყენება ოფიციალური ორგანოს - სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემა, რაც დასტურდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით.
სამკითხველო დარბაზში განთავსებულია სახელმძღვანელოები მატერიალური სახით, სივრცე აღჭურვილია სათანადო ინვენტარით (მაგიდა, სკამები, კომპიუტერები), ბიბლიოთეკარის სამუშაო მაგიდასთან განთავსებულია, სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე, ასლის გადამღები აპარატი. ბიბლიოთეკაში მუდმივად ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი. **2.2.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ: კოლეჯში შექმნილია პირობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის განათლების მისაღებად და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის საზოგადოებაში; კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 45-ე მუხლი მოიცავს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს. კერძოდ, ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნით, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის მობილიზებას და უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას; საჭიროების შემთხვევაში სსსმ პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, უზრუნველყოფს სოციალურ ადაპტაციას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ამასთან, კოლეჯის სასწავლო გარემო ადაპტირებულია შშმ პირების თავისუფლად გადაადგილებისათვის. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ინდივიდუალური გეგმების შედგენის პრაქტიკა, გაესაუბრა ინკლუზიური განათლების სპეციალისტს, ჟესტური ენის სპეციალისტს, პროფესიული განათლებლის მასწავლებლებს, სტუდენტებს. აღნიშნულის შედეგად დადასტურდა, რომ არსებული რეგულაცია და განმახორციელებელთა გამოცდილება, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენასა და სასწავლო რესურსებთან ხელმისაწვდომობას სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. **2.2.1.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.** პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა სასწავლო ექსკურსიები, ვორქშოპები და სხვა. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი შესაბამისი თანაფარდობით ითვალისწინებს ასევე ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო და სხვა) საოპერაციო ხარჯებს. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი 11 პროფესიული სტუდენტი (ინტეგრირებულისათვის 12 პროფესიული სტუდენტი), რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. **2.2.1.7 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კონდიტერია“ განსახორციელებლად საჭირო A, B და A/C გარემოს ვიზუალური დათვალიერება და აღჭურვილობის ჩამონათვალი;
- ინტერვიუ შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული შეთანხმება;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- ადამიანური და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები, რომელიც ეყრდნობა დემინგის ციკლს. კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის მიერ 2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანებით (ცვლილება 2025 წლის 27 მაისი, ბრძანება №01-04/106) დამტკიცებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესი", რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხელს უწყობს კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს პროცესების იდენტიფიცირებას, დაგეგმვას, განვითარებას, მონიტორინგის გეგმის შედგენას, მონიტორინგის განხორციელებას და პროცესების შეფასებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება, სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა, მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება, ვერიფიკაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით.

პროგრამების განვითარებაზე ზრუნვას კოლეჯი ახორციელებს როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით. პირველ შემთხვევაში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს: თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. ინფორმაცია შესაძლოა მიღებული იქნას როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, რომელიც სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ აანალიზებს მოდულის განხორციელების მიმდინარეობას და გამოყოფს საკითხებს, რომელთა გაუმჯობესებაც რეკომენდებულია, ასევე პროფესიული სტუდენტებისაგან, რომლებმაც უკვე დაასრულეს მოდული. შესაძლოა სწავლის მეთოდებისა და მიდგომების ან სასწავლო რესურსების გაუმჯობესების წყაროდ იქცეს საერთაშორისო პრაქტიკა, რომელსაც გაეცნო კოლეჯი და თვლის, რომ მისი დანერგვით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს.

პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ თუ საერთაშორისო გამოცდილებას. **2.3.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ, კოლეჯს შემუშავებული აქვს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესი", რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის განვითარებას და ცვლილებების განხორციელების შემთხვევებს და ცვლილებების განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცედურას. კოლეჯის ხარისხის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლის „დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე-განავითარე“ მოდელზე. პროგრამის შეფასება ხდება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებზე დაყრდნობით, რომლის ფარგლებში ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის (პროფესიული სტუდენტი, დამსაქმებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი) გამოკითხვა და შედეგების ანალიზი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ხარისხის მენეჯერის რეკომენდაციების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები. ცვლილებების პროცედურები ხორციელდება აღნიშნული წესის შესაბამისად.

პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს.

სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი გააანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები მასში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. ექსპერტთა შეფასებით, **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესი“ (2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანება (ცვლილება 2025 წლის 27 მაისი, ბრძანება №01-04/106);
- სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“ (2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანება; ცვლილება 27/05/2025 N 01-04/105);
- პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლის, მასწავლებლის კითხვარები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კონდიტერია“ განაცხადის დანართებში წარმოდგენილია სასწავლო გეგმები (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სწავლებისათვის). სასწავლო გეგმებით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მოქმედი (მილევადი სტატუსის მქონე) პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით გაწერილი კალენდარული გეგმების შესაბამისობის შემოწმება და დადგინდა, რომ კალენდარული გეგმები სასწავლო გეგმაში გაწერილი თარიღების შესაბამისია, მოიცავს მოდულით განსაზღვრულ თემატიკას. **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისია.**

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში“ საწავლო პროცესი მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დამტკიცებულია 2026 წლის 24 მარტის N N01-04/74 ბრძანებით) მიხედვით კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად რეაგირებს ყველა შემხვედრ საჭიროებაზე, კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში დისტანციური სწავლების დროს, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტთა რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და/ან დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციების ჩატარებაში. სასწავლო გეგმებით განისაზღვრება თითოეული პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამის დამთავრებისას.

სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში მოხდება ცვლილება ან მისი გაუქმება, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. კოლეჯი მყისიერად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესში.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისას სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებისა და მათ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების პრაქტიკა დადასტურდა სტუდენტებთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, თანასწორობის, ინკლუზიურობის, ხარისხის უზრუნველყოფისა და უწყვეტი განვითარების პრინციპებს. **2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

პროგრამა აღჭურვილია სწავლის შედეგის მიღწევისთვის საჭირო ყველა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით და შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა პრაქტიკულ საქმიანობაში აითვისონ თანამედროვე ხელსაწყოები. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი გარემო აღჭურვილია იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროგრამა სრულად ითვალისწინებს თანამედროვე სწავლების მეთოდებს და უზრუნველყოფს თანამედროვე მიდგომების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში.

სასწავლო პროცესი ორგანიზებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით. იგი მოიცავს თეორიულ სწავლებას, პრაქტიკულ სამუშაოებს, ლაბორატორიულ და პროექტულ აქტივობებს, ინტერაქტიულ სწავლებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლებას. სწავლება ხორციელდება ისეთი მეთოდებით, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები დისტანციური სწავლების მიზნებიდან გამომდინარე აქტიურად იყენებენ Lms პლატფორმას. გარდა ამისა, ქმნიან ელექტრონულ სასწავლო პრეზენტაციებსა და შესაბამის დავალებებს.

დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა პრაქტიკულ საქმიანობაში აითვისონ თანამედროვე ხელსაწყოები.

პროგრამის ეფექტურობის მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას. მასწავლებლებს მუდმივად უტარდებათ ტრენინგები როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე, კოლეჯი მუდმივად აორგანიზებს და ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგებსა და მასტერკლასებს სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. მასწავლებლებს საშუალება აქვთ გაეცნონ დარგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტექნოლოგიურ სიახლეებს, ამისათვის კოლეჯი იწვევს დარგის მოქმედ ექსპერტებს ან უზრუნველყოფს მასწავლებელთა პერიოდული ვიზიტებს პარტნიორ საწარმოებში შეხვედრებსა და ვორქშოფებზე. ექსპერტთა შეფასებით, **2.4.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმები და პროცედურები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შემთხვევები, შემუშავებაზე პასუხიმგებელი პირები და პროფესიულ სტუდენტთა სავალდებულო ჩართვისა და მათთან შეთანხმების მექანიზმები. განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებაზე ზრუნვას, მათ შორის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას კოლეჯი მიმართავს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო მიდგომებს.

კოლეჯში მოქმედებს 24/03/2026 წლის №01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა, როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც წამოიჭრება ამის საჭიროება. კოლეჯის დირექტორი ქმნის კომისიას, რომელსაც ამტკიცებს სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობა შედიან - სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულის განმახორციელებელი პირი. კომისიის მიერ ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება, შემუშავებული პროექტის პროფესიული სტუდენტებისთვის გაცნობა კოლეჯის მიერ დადგენილ ვადებში. კომისია კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ოქმს, რომელსაც დანართის სახით დაერთვება პროექტი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობასთან დაკავშირებით.

პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაშიც ეხმარება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან, ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან გასაუბრებითა და იმ მტკიცებულებების შესწავლით, რომლებიც მილევად რეჟიმში მიმდინარე პროგრამის ფარგლებში ინდივიდუალური საჭიროების მქონე სტუდენტთა სწავლების უზრუნველსაყოფად შეიქმნა (ისგ, ადაპტირებული დავალებები, რესურსები, შეფასების ფორმები და სხვ.); ექსპერტთა შეფასებით **2.4.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კონდიტერია“ სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ მიერ განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. ამასთანავე, კოლეჯი თანამშრომლობს პარტნიორ კომპანიებთან და ორგანიზაციებთან გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში. თანამშრომლობა მოიცავს პროფესიული სტუდენტებისთვის ექსკურსიების, საწარმოო ვიზიტებისა და სამუშაო გარემოს გაცნობითი აქტივობების ორგანიზებას, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მიერ რეალური სამუშაო პროცესების, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და პროფესიული საქმიანობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპეციფიკის გაცნობას. აღნიშნული აქტივობები უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გარემოსთან დაკავშირებას და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. **2.4.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კონდიტერია" სალექციო მეცადინეობები ჩატარდება A სასწავლო გარემოში, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს მის საკუთრებაში არსებული ორი C სასწავლო გარემო შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური რესურსით. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. C გარემოში მოთავსებულია პირველადი სამედიცინოო დახმარების ყუთი, ცეცხლმაქრი. გამოკრულია მუშაობისა და უსაფრთხოების დაცვის წესები, დაწესებულების შენობა არის უსაფრთხო, კოლეჯ „ახალი ტალღას" შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები. **2.4.1.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- სასწავლო გეგმა/გეგმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კონდიტერია" პაკეტი;
- უსაფრთხოების წესები;
- სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის" „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში";
- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
- მასწავლებელთა სერტიფიკატები;
- ინტერვიუს შედეგები;
- სივრცეების ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ: დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულ ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დამტკიცებულია 24/03/2026 წლის №01-04/74 ბრძანებით) მე-5, მე-6 და მე-7 თავებში გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების, შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხები. ამ წესის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წარედგინება სასწავლო პროცესის ერთ-ერთ კოორდინატორს ტექნიკური მხარის შესამოწმებლად და პროგრამის ხელმძღვანელს შინაარსობრივი მხარის შესამოწმებლად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. დოკუმენტში აღწერილია განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები, განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ; მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს, უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტთა კონსულტირების, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მტკიცებულებების შენახვის საკითებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მილევად რეჟიმში მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მტკიცებულებები. შეფასების საკითხთან დაკავშირებით გაესაუბრა დაწესებულების წარმომადგენლებს, მასწავლებლებსა და სტუდენტებს. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. **2.4.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ: დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც ადასტურებს, რომ კოლეჯში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და სამართლიანი.
კოლეჯში მოქმედებს 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222(ცვლილება 27/05/2025 N01-04/105) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის ჯგუფის ძირითადი ამოცანები, ვერიფიკაციის მიმართულებები და გაწერილია ძირითადი ეტაპები, რომლებიც მოიცავს ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევას, განხილვის ორგანიზებას, ფაქტობრივ გარემობებზე შეთანხმებას და ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენას.
შეფასების ვერიფიკაციის მიმართულებებია:

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დოკუმენტით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი. შიდა ვერიფიკაციის პროცესში ასევე ჩართულია ხარისხის მართვის სპეციალისტი, დარგის სპეციალისტები. ამ დოკუმენტის მიხედვით ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. შესაბამისად, შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებების ობიექტურობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შერჩევა ხორციელდება რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დასკვნის სახით.
ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით.
ამავე დოკუმენტით დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა; შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის და შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა; შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი; შეფასების ფურცელი; ვერიფიკაციის დასკვნა.
გასაუბრებითა და ვერიფიკაციის მტკიცებულებების შესწავლით დადასტურდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს და გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. **2.4.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ: დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, კოლეჯი ვალდებულია მოდულების შედეგების შეფასების მტკიცებულებები შეინახოს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ მტკიცებულებები გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით. მტკიცებულებები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. მტკიცებულებები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად. **2.4.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ: დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ კოლეჯში რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტენტთა ინფორმირების, კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა; კოლეჯში ხორციელდება სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგი. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია მათი პერსონალური მონაცემები. სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.
სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ როგორ განავითაროს შედეგი და რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიული მასწავლებლები პერიოდულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში პროფესიულ სტუდენტებთან, რომელიც გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. **2.4.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

II სტანდარტი

ინდიკატორი 2.2.1.1
დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 2026 წლის 18 მარტის N 07 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 30.11.2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მძიმე ტექნიკის ოპერირება" პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭიროა მძიმე ტექნიკის ოპერირების ლაბორატორიისთვის დამატებითი აღჭურვილობის შეძენა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 21/07/2026 წლის №962319 კორესპონდენციის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღა" ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მძიმე ტექნიკის ოპერირება/Operating Heavy Vehicle
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მძიმე ტექნიკის ოპერირებაში/Secondary Vocational Qualification in Operating Heavy Vehicle;
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	11/05/2026 N 01-04/128 ბრძანება, (ცვლილება ბრძანება №01-04/181 03/07/2026)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მძიმე ტექნიკის ოპერირება“ განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება, გამომდინარეობს სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან და ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დასაბუთება ეფუძნება შრომის ბაზრის ანალიზს და ასახავს რეგიონში არსებული საჭიროების შესწავლას. დასაბუთებაში მკაფიოდ გამოხატულია პროგრამის საჭიროება და მიზნობრიობა, რაც ადასტურებს მის შესაბამისობას დაწესებულების მისიასთან - პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად ეყრდნობა დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 29 იანვრის N01-04/13 ბრძანებით და რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტია ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა და მისი ხელმისაწვდომობის გაზრდა. რაც მიზნად ისახავს სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.

აჭარის რეგიონი აქტიურად ვითარდება მშენებლობის მიმართულებით. იზრდება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ინვესტიციები საცხოვრებელი, ტურისტული და სამრეწველო ინფრასტრუქტურის განვითარებაში. კოლეჯის სამოქმედო არეალში უკვე იკვეთება და ასევე პროგნოზირებადია მოთხოვნა იმ უნარებსა და კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მძიმე ტექნიკის ოპერირება“. რეგიონულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების მიხედვით, სამშენებლო და სამრეწველო სექტორში მზარდია მოთხოვნა მძიმე ტექნიკის ოპერატორებზე, რომლებიც ფლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებთან მუშაობის პრაქტიკულ უნარებს, უსაფრთხოების წესების დაცვასა და ეფექტიანი ოპერირების კომპეტენციებს. პროფესიული პროგრამა „მძიმე ტექნიკის ოპერირება“ პასუხობს ამ გამოწვევებს: პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ მოდულებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების მომზადებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარ-ჩვევებით.

სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 2025 წლის 27 მაისის N01-04/106 ბრძანება) დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ არეგულირებს სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს. პროგრამის დამტკიცების პროცესს წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს პროგრამის დამატების ინიცირებას, სამუშაო ჯგუფის შედგენას, მისი დამატების მიზანშეწონილობის დადგენას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის მომზადებას და ხარისხის მენეჯერთან წარდგენას პროექტის რევიზიის მიზნით. პროგრამის შემუშავების საფუძველი, შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტი და სხვა დამატებითი სამართლებრივი საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტებია. ახალი პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯი, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი და სხვ., რომელიც განსახილველად წერილობით წარმოადგენს წინადადებას პროგრამის დამატების შესახებ. ახალი პროგრამის დამატების შესახებ მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერი მოიპოვებს ინფორმაციას და წარმოადგენს „პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას“. პროგრამის დამატების ინიციატივას და მის მიზანშეწონილობას იხილავს კოლეჯის დირექტორი დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთნ ერთად. ინიციატივის განხილვის შემდეგ იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამზადებს პროგრამის პროექტს, ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, კოლეჯის ადამიანურ და მატერიალურ რესურსთან და სხვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის მომზადების შემდეგ დოკუმენტი გადაეგზავნება ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამას ამტკიცებს დირექტორი.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მძიმე ტექნიკის ოპერირება“ განხორციელების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. **2.1.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ,,მძიმე ტექნიკის ოპერირება" განსაზღვრული დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ წინაპირობასთან და კოლეჯის მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან. კერძოდ, დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, აღნიშნული მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ დაშვების წინაპირობებთან.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვითა და დაწესებულების მიერ დამტკიცებული რეგულაციების შესაბამისად. დაშვებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები (სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა, შიდა და გარე მობილობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები და სხვ.) დეტალურად არის გაწერილი კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" (დამტკიცებულია: 2026 წლის 24 მარტის N N01-04/74 ბრძანებით). სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საკითხი; ხოლო პირის კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის თანაბარ შესაძლებლობებს, გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღებასა და სამართლიან ადმინისტრაციულ პროცესს. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების პროცედურები უზრუნველყოფს ისეთ პირთა დაშვებას, რომლებიც პროგრამის განხორციელების ვადაში შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ: კოლეჯის დირექტორის მიერ 2022 წლის 14 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის" მიხედვით, კოლეჯის კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, კოლეჯის ადამიანური და მატერიალური რესურსი მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, AC და B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილები, ფინანსური რესურსი, პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობები და სხვ.

დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის, სხვადასხვა ცვლებში მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით.

კოლეჯს წარმოდგენილი აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მძიმე ტექნიკის ოპერირება" ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღას" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შექმნილი აქვს AC, A და B გარემო, რომელიც სრულად შეესაბამება სასწავლო პროცესის საჭიროებებს.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში გათვალისწინებულია ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების მიხედვით დაწესებულება აცხადებს მზაობას პროგრამაზე მიიღოს 30 სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზით დასტურდება, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **2.1.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსის შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები მოდულების შინაარსთან შესაბამისია და მათი მოცულობა სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსი.

რესურსის არსებობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა ვიზუალური დათვალიერებით და რესურსების ფლობის/შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევასა და მონიტორინგს, საჭიროების შემთხვევაში განახლებას ან გაუმჯობესებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ხარისხის შენარჩუნებას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში. **2.1.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მძიმე ტექნიკის ოპერირება" ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს – „საგზაო მოძრაობის წესები მძიმე ტექნიკის უსაფრთხოდ ოპერირებისთვის", რომელიც შინაარსობრივად და ფუნქციურად დაკავშირებულია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის სამომავლო პროფესიულ საქმიანობასთან. აღნიშნული მოდული პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას პრაქტიკულად გამოიყენოს პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები რეალურ ან რეალურთან მიახლოებულ სამუშაო გარემოში. **2.1.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ: კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მძიმე ტექნიკის ოპერირება" დამტკიცდებულია სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის" დირექტორის მიერ 2026 წლის 11 მაისის №01-04/128 (ცვლილება ბრძანება №01-04/181 (03/07/2026) ბრძანებით. **2.1.1.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მძიმე ტექნიკის ოპერირება" შემუშავებულია პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო სტანდარტის „მძიმე ტექნიკის ოპერირება“ საფუძველზე. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგები და მათი შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. **2.1.1.7 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მძიმე ტექნიკის ოპერირება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „მძიმე ტექნიკის ოპერირება“ საფუძველზე. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, საწარმოო დაწესებულების განხორციელების მიდგომები. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (მ.შ. ზოგადი მოდულები, რომელთაგან ორი - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 განკუთვნილია მხოლოდ არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის), სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.
სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულებით განსაზღვრულ წინაპირობებს, დაცულია პროგრამის ლოგიკური განვითარება, დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის და პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას. ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავების მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ასევე წარმოდგენილ იქნა პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება შესაბამისი ოქმებით, სადაც ნათლად ჩანს პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავება.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა განმახორციელბელ პირებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ აღნიშნული პირები.
2.1.1.8 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- 2026 წლის 17 თებერვლის N 01- 04/42 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ბოლო ცვლილება: ბრძანება 27/05/2025 N01-04/106) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- დირექტორის 11/05/2026 წლის N01-04/128 ბრძანებით (ცვლილება ბრძანებით №01-04/181 (03/07/2026) დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა „მძიმე ტექნიკის ოპერირება“;
- 2022 წლის 14 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის მისია;
- გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ: კოლეჯს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მფობელობაში აქვს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური რესურსი, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის სასწავლო გარემოში.

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის ,,მძიმე ტექნიკის ოპერირება" სწავლების მიზნებისთვის გააჩნია 15 სტუდენტზე გათვლილი: ერთი B აუდიტორია და ერთი AC გარემო.

B სასწავლო გარემოში განთავსებულია საჭირო რაოდენობის პერსონალური კომპიუტერები, რომლებიც განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ერთი კომ პიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; B გარემოს დატვირთვა გაკეთებული აქვთ ისე, რომ მისი გამტარუნარიანობა შესაბამისი იყოს სხვა პროგრამების განსახორციელებლადაც.

AC ტიპის სასწავლო გარემო წარმოადგენს სპეციალიზებულ სასწავლო ლაბორატორიას, რომლებიც შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მოთხოვნებს. გარემო აღჭურვილია დარგის სპეციფიკის შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობებით, ინვენტარითა და დამხმარე საშუალებებით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარების განვითარებას და სწავლის შედეგების მიღწევას. ლაბორატორიაში დაცულია შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები; უზრუნველყოფილია სამუშაო სივრცის ორგანიზება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასწავლო გარემო ადაპტირებულია ჯგუფური და ინდივიდუალური პრაქტიკული საქმიანობის განსახორციელებლად. AC გარემო განკუთვნილია 15 პროფესიულ სტუდენტზე, სადაც განთავსებულია 15 მაგიდა და 15 სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისთვის, მონიტორი - 1 ც, დაფა - 1ც, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, 3 სიმულატორი სხვადასხვა მძიმე ტექნიკის პროგრამით, კერძოდ: დიდთვლიანი სატვირთველი, ავტოგრეიდერი, ჰიდრავლიკური ექსკავატორი.

დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგურილებელი წესის მე-16 მუხლით რეგულირდება სსიპ კოლეჯ ახალ ტალღაში დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესი. კოლეჯი დისტანციური სწავლების, შეფასების და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები არეგულირებს დისტანციური სწავლების ფორმებს, დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესს (ადმინისტრირებას, მონიტორინგსა და დაკვირვებას).

კოლეჯში დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მოდელების გამოყენებით:

- სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში რომელიმე ელექტრონული საკომუნიკაციო პლატფორმის გამოყენებით ყველა სტუდენტისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვას;
- სრულად ელექტრონულად, ასინქრონულად, რაც გულისხმობს ვიდეო მეცადინეობების ან ხელმისაწვდომი სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო პლატფორმები ან/და ციფრული რესურსების გამოყენებით სწავლა-სწავლებას;
- ჰიბრიდულად, რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენებას, რაც შეიძლება იყოს დიფერენცირებული მოდულების, ჯგუფებისა და განაყოფების მიხედვით.

დისტანციური სასწავლო პროცესის წარმართვისა და დისტანციური სასწავლო რესურსების გამოყენების მიზნით კოლეჯი ახდენს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებას, კერძოდ, ელექტრონული პლატფორმა Teams გამოიყენება დისტანციური საგაკვეთილო პროცესისათვის.

პროგრამით გათვალისწინებულია რიგი მოდულების დისტანციურ რეჟიმში სწავლების შესაძლობლობა.

აღნიშნული დოკუმენტში ასევე გაწერილია დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების, დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო რესურსების, სტუდენტთა დასწრების აღრიცხვის, შეფასების, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სხვა საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ისინი იცნობენ დისტანციურად სასწავლო პროცესის წარმართვის რეგულაციას. მათ ნაწილს აქვს გამოცდილება დისტანციურად/ნაწილობრივ დისტანციურად მოდულების წაკითხვისა და საჭიროების შემთვევაში აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც შეძლებენ ცოდნის გამოყენებას.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის და შედეგების დადასტურებისათვის საჭირო დამატებით შესაძენი დეტალური ინფორმაცია ინვენტარის სახეობის, რაოდენობისა და შესყიდვის პერიოდის შესახებ. შესაძენია: ექსკავატორ-დამტვირთველის სიმულატორი (მოდული: ექსკავატორ-დამტვირთველის ოპერირება), ბულდოზერის სიმულატორი (მოდული: ბულდოზერის ოპერირება), საკარიერე/სასაწყობე ჩანგლიანი დამტვირთველის სიმულატორი და სიმულატორის კომპლექტაცია (ადაპტერი, ყურსასმენი, სმენის დამცავი აღჭურვილობა) მოდულისთვის: საკარიერე/სასაწყობე ჩანგლიანი დამტვირთველი. აღნიშნული ინვენტარის შესყიდვის დასრულების ვადად, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, განსაზღვრულია 2026 წლის 30 ნოემბერი.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ***2.2.1.1. სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია.***

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას,** კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 13 მასწავლებელი, აქედან 10 განახორციელებს ზოგად მოდულს, ხოლო 3 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფ. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდებაა 13/30. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ:** .ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე, უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგებიც და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგებიც. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, სასწავლო რესურსების განახლებაში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია შეთანხმებები. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, დაწესებულება განმახორციელებლებთან გააფორმებს შრომით ხელშეკრულებას. დირექტორის 2020 წლის 09 ივნისის №01-04/77 ბრძანებით (ცვლილება 2023 წლის 18 მაისი N01-04/94) შემუშავებულია „შინაგანაწესი", რომელშიც გაწერილია მასწავლებლის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პროფესიული განათლების დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. **2.2.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N01-04/28 ბრძანებით დამტკიცებულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 11 მაისის N01-04/128 (ცვლილება ბრძანება №01-04/181 (03/07/2026) ბრძანებით. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლისა და მასთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ ის არის კვალიფიციური კადრი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებშიც. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. **2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ:** ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. მათ შორის, არის განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, დათვალიერებულ იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება დაწესებულების სამკითხველო დარბაზში, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. მათ შეუძლიათ ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. **2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებს უზრუნველყოფილი აქვთ წვდომა პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებზე, რომლებიც ადაპტირებულია მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კოლეჯში ფუნქციონირებს ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდაჭერის მექანიზმი, რომლის ფარგლებში დასაქმებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს დაგეგმვასა და ორგანიზებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტი უზრუნველყოფს სასწავლო და სამუშაო მასალების ადაპტირებას, სტუდენტის მხარდაჭერასა და სასწავლო პროცესში ეფექტიან ჩართულობას. აღნიშნული პრაქტიკა რეალურად დანერგილი და მოქმედია კოლეჯში, რაც ხელს უწყობს ინკლუზიური და თანაბრად ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნას. განსახილველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ სტუდენტი არ ჰყოლია. **2.2.1.6. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ: კოლეჯი წარმოადგენს სსიპ-ს სამართლებრივი მოწყობის თვალსაზრისით და, პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ ფინანსური ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავლებში გათვალისწინებულია - ვაუჩერული დაფინანსება; ხარჯებში - მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან), ნედლეულისა და მასალის ხარჯები, სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები, აღჭურვილობის ამორტიზაციის ხარჯი. აღნიშნული ბიუჯეტით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 9 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. **2.2.1.7 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დირექტორის 11/05/2026 წლის N01-04/128 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა „მძიმე ტექნიკის ოპერირება“;
- 2022 წლის 14 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- შესაბამისობის გეგმა;
- დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N01-04/28 ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების შესახებ;
- დირექტორის 2026 წლის 11 მაისის N01-04/128 (ცვლილება ბრძანებით №01-04/181 (03/07/2026) ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის ბიუჯეტი;
- დირექტორის 2020 წლის 09 ივნისის №01-04/77 ბრძანება (ცვლილება 2023 წლის 18 მაისი N01- 04/94) „შინაგანაწესის“ დამტკიცების შესახებ;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები, რომელიც ეყრდნობა დემინგის ციკლს. კოლეჯის დირექტორის მიერ 2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანებით (ცვლილება 2025 წლის 27 მაისი, ბრძანება №01-04/106) დამტკიცებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესი”, რომელიც არეგულირებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხელს უწყობს კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს პროცესების იდენტიფიცირებას, დაგეგმვას, განვითარებას, მონიტორინგის გეგმის შედგენას, მონიტორინგის განხორციელებას და პროცესების შეფასებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება, სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა, მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება, ვერიფიკაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით.

პროგრამების განვითარებაზე ზრუნვას კოლეჯი ახორციელებს როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით. პირველ შემთხვევაში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს: თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. ინფორმაცია შესაძლოა მიღებული იქნას როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, რომელიც სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ აანალიზებს მოდულის განხორციელების მიმდინარეობას და გამოყოფს საკითხებს, რომელთა გაუმჯობესებაც რეკომენდებულია, ასევე პროფესიული სტუდენტებისაგან, რომლებმაც უკვე დაასრულეს მოდული. შესაძლოა სწავლის მეთოდებისა და მიდგომების ან სასწავლო რესურსების გაუმჯობესების წყაროდ იქცეს საერთაშორისო პრაქტიკა, რომელსაც გაეცნო კოლეჯი და თვლის, რომ მისი დანერგვით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს.

პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ თუ საერთაშორისო გამოცდილებას. **2.3.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ, კოლეჯს შემუშავებული აქვს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესი", რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის განვითარებას და ცვლილებების განხორციელების შემთხვევებს და ცვლილებების განხორციელების პროცედურას. კოლეჯის ხარისხის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლის „დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე-განავითარე" მოდელზე. პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება ხდება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებზე დაყრდნობით, რომლის ფარგლებში ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის (პროფესიული სტუდენტი, დამსაქმებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი) გამოკითხვა და შედეგების ანალიზი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ხარისხის მენეჯერის რეკომენდაციების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები. ცვლილებების პროცედურები ხორციელდება აღნიშნული წესის შესაბამისად.

პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს.

სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი გააანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები მასში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. ექსპერტთა შეფასებით, **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესი“ (2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანება (ცვლილება 2025 წლის 27 მაისი, ბრძანება №01-04/106);
- სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“ (2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანება; ცვლილება 27/05/2025 N 01-04/105);
- პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლის, მასწავლებლის კითხვარები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და ელექტრონულად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მძიმე ტექნიკის ოპერირება“ ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის მოცულობით, 8 პროფესიულ მოდულს ჯამური 58 კრედიტის მოცულობით და არჩევითი ბლოკიდან 1 მოდულს 5 კრედიტის მოცულობით. საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად ,,მძიმე ტექნიკის ოპერირებაში“ პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად 70 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 50 სასწავლო კვირას ანუ 13 სასწავლო თვეს.

მოდულების, ქართული ენა A2 (15 კრედიტი) და ქართული ენა B1 (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. მათთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. მათთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 100 კრედიტს. არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 70 სასწავლო კვირას. პროგრამა დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ: სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში“ საწავლო პროცესი მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დამტკიცებულია 2026 წლის 24 მარტის N N01-04/74 ბრძანებით) მიხედვით კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად რეაგირებს ყველა შემხვედრ საჭიროებაზე, კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში დისტანციური სწავლების დროს, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტთა რესურსებით უზრუნველყოფაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და/ან დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციების ჩატარებაში. სასწავლო გეგმებით განისაზღვრება თითოეული პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამის დამთავრებისას.

სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში მოხდება ცვლილება ან მისი გაუქმება, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. კოლეჯი მყისიერად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესში.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისას სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებისა და მათ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების პრაქტიკა დადასტურდა დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, თანასწორობის, ინკლუზიურობის, ხარისხის უზრუნველყოფისა და უწყვეტი განვითარების პრინციპებს. **2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ: პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი გარემო აღჭურვილია იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროგრამა სრულად ითვალისწინებს სწავლების მეთოდებს და უზრუნველყოფს თანამედროვე მიდგომების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში.

სასწავლო პროცესი ორგანიზებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით. იგი მოიცავს თეორიულ სწავლებას, პრაქტიკულ სამუშაოებს, ლაბორატორიულ და პროექტულ აქტივობებს, ინტერაქტიულ სწავლებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. სწავლება ხორციელდება ისეთი მეთოდებით, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები დისტანციური სწავლების მიზნებიდან გამომდინარე აქტიურად იყენებენ Lms პლატფორმას. გარდა ამისა, ქმნიან ელექტრონულ სასწავლო პრეზენტაციებსა და შესაბამის დავალებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა პრაქტიკულ საქმიანობაში აითვისონ თანამედროვე ხელსაწყოები. პროგრამის ეფექტურობის მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას. მასწავლებლებს მუდმივად უტარდებათ ტრენინგები როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე კოლეჯი მუდმივად აორგანიზებს და ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგებსა და მასტერკლასებს სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. მასწავლებლებს საშუალება აქვთ გაეცნონ დარგის ტექნოლოგიურ სიახლეებს, ამისათვის კოლეჯი იწვევს დარგის მოქმედ ექსპერტებს. **2.4.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ: კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმები და პროცედურები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შემთხვევები, შემუშავებაზე პასუხიმგებელი პირები და პროფესიულ სტუდენტთა სავალდებულო ჩართვისა და მათთან შეთანხმების მექანიზმები. განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებაზე ზრუნვას, მათ შორის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას კოლეჯი მიმართავს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო მიდგომებს.

კოლეჯში მოქმედებს 24/03/2026 წლის №01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა, როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც წამოიჭრება ამის საჭიროება. კოლეჯის დირექტორი ქმნის კომისიას, რომელსაც ამტკიცებს სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობა შედიან - სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულის განმახორციელებელი პირი. კომისიის მიერ ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება, შემუშავებული პროექტის პროფესიული სტუდენტებისთვის გაცნობა კოლეჯის მიერ დადგენილ ვადებში. კომისია კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ოქმს, რომელსაც დანართის სახით დაერთვება პროექტი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობასთან დაკავშირებით.

პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაშიც ეხმარება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“. **2.4.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მძიმე ტექნიკის ოპერირება” სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ მიერ განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში. აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგები სრულიად მიიღწევა დაწესებულების ბაზაზე არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსით. შესაბამისად არ საჭიროებს პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან ხელშეკრულების არსებობას.
2.4.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ: კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს უსაფრთხოების წესი. ასე კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 16/02/2026 წლის N01-04/40 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შრომის უსაფრთხოების წესი, რომელიც მოიცავს შრომის უსაფრთხოების და პირადი ჰიგიენის ნორმებს, უბედური შემთხვევების დროს რეაგირების/პირველადი დახმარების და ხანძარსაწინააღმდეგო წესებს. სასწავლო დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას განახორციელებს კონსტრუქციულად მდგრად შენობაში, რომელშიც გათვალისწინებულია სახანძრო და საევაკუაციო მოთხოვნები, შენობა აღჭურვილია საევაკუაციო სანათი ნიშნებით და ოპერირებული ცეცხლმაქრი მოწყობილობებით, დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი სისტემატურად ახორციელებს რისკების შეფასებას, ასევე რეგულარულად ატარებს ტრენინგებს პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.

აღნიშნული პროგრამის სწავლებისათვის კოლეჯში ასევე მოქმედებს ,,სასწავლო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესები“, რომელშიც გაწერილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების, აღჭურვილობის შემოწმებისა და მოვლის საკითხები; განსაზღვრულია შრომის ორგანიზება და გარემო, შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა მუშაობისას, ექსტრემალურ სიტუაციაში ქცევის წესები.

2.4.1.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- სასწავლო გეგმები;
- სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“;
- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დამტკიცებულია 2026 წლის 24 მარტის N01-04/74 ბრძანებით);
- ,,სასწავლო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესები“;
- მასწავლებელთა სერტიფიკატები, სამუშაო შეხვედრებზე დასწრების ფურცლები;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვიზიტის დროს შენობის ვიზუალური დათვალიერება.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ: დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულ ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დამტკიცებულია 24/03/2026 წლის №01-04/74 ბრძანებით) მე-5, მე-6 და მე-7 თავებში გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების, შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხები. ამ წესის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წარედგინება სასწავლო პროცესის ერთ-ერთ კოორდინატორს ტექნიკური მხარის შესამოწმებლად და პროგრამის ხელმძღვანელს შინაარსობრივი მხარის შესამოწმებლად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. დოკუმენტში აღწერილია განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები, განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ; მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს, უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტთა კონსულტირების, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მტკიცებულებების შენახვის საკითეებს. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. **2.4..2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ: დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც ადასტურებს, რომ კოლეჯში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და სამართლიანი.

კოლეჯში მოქმედებს 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222(ცვლილება 27/05/2025 N01-04/105) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის ჯგუფის ძირითადი ამოცანები, ვერიფიკაციის მიმართულებები და გაწერილია ძირითადი ეტაპები, რომლებიც მოიცავს ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევას, განხილვის ორგანიზებას, ფაქტობრივ გარემობებზე შეთანხმებას და ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენას.

შეფასების ვერიფიკაციის მიმართულებებია:

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დოკუმენტით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი. შიდა ვერიფიკაციის პროცესში ასევე ჩართულია ხარისხის მართვის სპეციალისტი, დარგის სპეციალისტები. ამ დოკუმენტის მიხედვით ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. შესაბამისად, შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებების ობიექტურობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შერჩევა ხორციელდება რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დასკვნის სახით.
ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით.
ამავე დოკუმენტით დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა; შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის და შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა; შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი; შეფასების ფურცელი; ვერიფიკაციის დასკვნა.
გასაუბრებითა და ვერიფიკაციის მტკიცებულებების შესწავლით დადასტურდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს და გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. **2.4.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ: დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, კოლეჯი ვალდებულია მოდულების შედეგების შეფასების მტკიცებულებები შეინახოს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ მტკიცებულებები გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით. მტკიცებულებები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. მტკიცებულებები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად. **2.4.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ: დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ კოლეჯში რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტენტთა ინფორმირების, კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა; კოლეჯში ხორციელდება სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგი. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია მათი პერსონალური მონაცემები. სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.
სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ როგორ განავითაროს შედეგი და რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიული მასწავლებლები პერიოდულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში პროფესიულ სტუდენტებთან, რომელიც გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. **2.4.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუირება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

II სტანდარტი

ინდიკატორი 2.2.1.1
დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 2026 წლის 18 მარტის N 07 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში - 30.11.2026 წელი - უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ამწის ოპერირება" პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭიროა ამწის ოპერირების ლაბორატორიისთვის დამატებითი აღჭურვილობის შეძენა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 21/07/2026 წლის №962319 კორესპონდენციის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ამწის ოპერირება - Crane operation

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში - Secondary Vocational Qualification in Crane operation
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	11/05/2026 N 01-04/128
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ამწის ოპერირება“ განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება, გამომდინარეობს სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღის“ მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან და ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დასაბუთება ეფუძნება შრომის ბაზრის ანალიზს და ასახავს რეგიონში არსებული საჭიროების შესწავლას. დასაბუთებაში მკაფიოდ გამოხატულია პროგრამის საჭიროება და მიზნობრიობა, რაც ადასტურებს მის შესაბამისობას დაწესებულების მისიასთან - პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად ეყრდნობა დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 29 იანვრის N01-04/13 ბრძანებით და რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტია ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფას და მისი ხელმისაწვდომობის გაზრდა. რაც მიზნად ისახავს სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.

აჭარის რეგიონი აქტიურად ვითარდება მშენებლობის მიმართულებით. იზრდება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ინვესტიციები საცხოვრებელი, ტურისტული და სამრეწველო ინფრასტრუქტურის განვითარებაში. კოლეჯის სამოქმედო არეალში უკვე იკვეთება და ასევე პროგნოზირებადია მოთხოვნა იმ უნარებსა და კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ამწის ოპერირება“.

რეგიონულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების მიხედვით, სამშენებლო და სამრეწველო სექტორში მზარდია მოთხოვნა ამწის ოპერატორებზე, რომლებიც ფლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებთან მუშაობის პრაქტიკულ უნარებს, უსაფრთხოების წესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაცვასა და ეფექტიანი ოპერირების კომპეტენციებს. პროფესიული პროგრამა „ამწის ოპერირება“ პასუხობს ამ გამოწვევებს: პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ მოდულებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების მომზადებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარ-ჩვევებით.

სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ დირექტორის 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 2025 წლის 27 მაისის N01-04/106 ბრძანება) დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ არეგულირებს სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს. პროგრამის დამტკიცების პროცესს წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს პროგრამის დამატების ინიცირებას, სამუშაო ჯგუფის შედგენას, მისი დამატების მიზანშეწონილობის დადგენას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის მომზადებას და ხარისხის მენეჯერთან წარდგენას პროექტის რევიზიის მიზნით. პროგრამის შემუშავების საფუძველი, შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტი და სხვა დამატებითი სამართლებრივი საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტებია. ახალი პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს კოლეჯი, დამსაქმებელი, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი და სხვ., რომელიც განსახილველად წერილობით წარმოადგენს წინადადებას პროგრამის დამატების შესახებ. ახალი პროგრამის დამატების შესახებ მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერი მოიპოვებს ინფორმაციას და წარმოადგენს „პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას“. პროგრამის დამატების ინიციატივას და მის მიზანშეწონილობას იხილავს კოლეჯის დირექტორი დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთნ ერთად. ინიციატივის განხილვის შემდეგ იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამზადებს პროგრამის პროექტს, ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, კოლეჯის ადამიანურ და მატერიალურ რესურსთან და სხვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის მომზადების შემდეგ დოკუმენტი გადაეგზავნება ხარისხის მართვის მენეჯერს ვალიდაციის მიზნით. პროგრამას ამტკიცებს დირექტორი.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ამწის ოპერირება“ განხორციელების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. **2.1.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, **,,**ამწის ოპერირება“ განსაზღვრული დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ წინაპირობასთან და კოლეჯის მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან. კერძოდ, დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, აღნიშნული მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ დაშვების წინაპირობებთან.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვითა და დაწესებულების მიერ დამტკიცებული რეგულაციების შესაბამისად. დაშვებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები (სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა, შიდა და გარე მობილობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები და სხვ.) დეტალურად არის გაწერილი კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში” (დამტკიცებულია: 2026 წლის 24 მარტის N N01-04/74 ბრძანებით). სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოპოვების საკითხი; ხოლო პირის კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის თანაბარ შესაძლებლობებს, გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღებასა და სამართლიან ადმინისტრაციულ პროცესს. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების პროცედურები უზრუნველყოფს ისეთ პირთა დაშვებას, რომლებიც პროგრამის განხორციელების ვადაში შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ: კოლეჯის დირექტორის მიერ 2022 წლის 14 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის" მიხედვვით, კოლეჯის კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, კოლეჯის ადამიანური და მატერიალური რესურსი მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, AC და B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილები, ფინანსური რესურსი, პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობები და სხვ.
დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის, სხვადასხვა ცვლებში მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით.
კოლეჯს წარმოდგენილი აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ამწის ოპერირება" ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღას" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შექმნილი აქვს სამი A C და B გარემო, რომელიც სრულად შეესაბამება სასწავლო პროცესის საჭიროებებს.
პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში გათვალისწინებულია ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი.
დაწესებულება უზრუნველყოფს თანამშრომლობას საწარმოო დაწესებულებასთან, რომელთანაც გაფორმებულია მემორანდუმი. პარტნიორი კომპანია შეძლებს ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების მიხედვით დაწესებულება აცხადებს მზაობას პროგრამაზე მიიღოს 30 სტუდენტი.
პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა და საწარმოო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით დასტურდება, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **2.1.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსის შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები მოდულების შინაარსთან შესაბამისია და მათი მოცულობა სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსი.

რესურსის არსებობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა ვიზუალური დათვალიერებით და რესურსების ფლობის/შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევასა და მონიტორინგს, საჭიროების შემთხვევაში განახლებას ან გაუმჯობესებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ხარისხის შენარჩუნებას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში. **2.1.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ამწის ოპერირება“ ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს – „პორტალური ამწის მართვა“, რომელიც შინაარსობრივად და ფუნქციურად დაკავშირებულია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის სამომავლო პროფესიულ საქმიანობასთან. აღნიშნული მოდული პროფესიულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას პრაქტიკულად გამოიყენოს პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები რეალურ ან რეალურთან მიახლოებულ სამუშაო გარემოში. **2.1.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ: კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ამწის ოპერირება“ დამტკიდებულია სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღის“ დირექტორის მიერ 2026 წლის 11 მაისის №01-04/128 (ცვლილება ბრძანება №01-04/181 (03/07/2026) ბრძანებით. **2.1.1.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ამწის ოპერირება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „ამწის ოპერირების“ საფუძველზე. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგები და მათი შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. **2.1.1.7 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ამწის ოპერირება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „ამწის ოპერირება“ საფუძველზე. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, საწარმოო დაწესებულების განხორციელების მიდგომები. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (მ.შ. ზოგადი მოდულები, რომელთაგან ორი - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განკუთვნილია მხოლოდ არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის), სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულებით განსაზღვრულ წინაპირობებს, დაცულია პროგრამის ლოგიკური განვითარება, დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის და პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას. ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავების მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ასევე წარმოდგენილ იქნა პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება შესაბამისი ოქმებით, სადაც ნათლად ჩანს პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავება.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ აღნიშნული პირები.

2.1.1.8 ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- 2026 წლის 17 თებერვლის N 01- 04/42 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2023 წლის 06 ივნისის N01-04/112 (ბოლო ცვლილება: ბრძანება 27/05/2025 N01-04/106) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- დირექტორის 11/05/2026 წლის N01-04/128 ბრძანებით (ცვლილება ბრძანებით №01-04/181 (03/07/2026) დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა „ამწის ოპერირება“ ;
- 2022 წლის 14 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- კოლეჯის მისია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმი;
- გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:** კოლეჯს მფობელობაში აქვს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური რესურსი, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის სასწავლო გარემოსა და პარტნიორი ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული რესურსით. კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის ,,ამწის ოპერირება“ სწავლების მიზნებისთვის გააჩნია 15 სტუდენტზე გათვლილი ერთი B აუდიტორია და ერთი AC გარემო.

B სასწავლო გარემოში განთავსებულია საჭირო რაოდენობის პერსონალური კომპიუტერები, რომლებიც განკუთვნილია პროფესიული სტუდენტებისათვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; B გარემოს დატვირთვა გაკეთებული აქვთ ისე, რომ მისი გამტარუნარიანობა შესაბამისი იყოს სხვა პროგრამების განსახორციელებლადაც.

AC გარემო განკუთვნილია 15 პროფესიულ სტუდენტზე, სადაც განთავსებულია 15 მაგიდა და 15 სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისთვის, მონიტორი - 1 ც, დაფა - 1ც, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები. AC ტიპის სასწავლო გარემო წარმოადგენს სპეციალიზებულ სასწავლო ლაბორატორიას, რომელიც მეტწილად შეესაბამება ,,ამწის ოპერირების“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მოთხოვნებს. AC გარემოში დაცულია შრომის უსაფრთხოების, სანიტარიულ-ჰიგიენური და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები; უზრუნველყოფილია სათანადო განათება და სამუშაო სივრცის ორგანიზება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასწავლო გარემო ადაპტირებულია ჯგუფური და ინდივიდუალური პრაქტიკული საქმიანობის განსახორციელებლად.

კოლეჯს კოოპერაციული ფორმით პროგრამის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე გაფორმებული აქვს მემორანდუმი ერთ პარტნიორ ობიექტთან:

- შპს ,,მირაჟი“ (30 პროფესიული სტუტენტი).

დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს 30 პროფესიული სტუდენტი (ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი).

დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგურილებელი წესის მე-16 მუხლით რეგულირდება სსიპ კოლეჯ ახალ ტალღაში დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესი. კოლეჯი დისტანციური სწავლების, შეფასების და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები არეგულირებს დისტანციური სწავლების ფორმებს, დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესს (ადმინისტრირებას, მონიტორინგსა და დაკვირვებას).

კოლეჯში დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მოდელების გამოყენებით:

- სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში რომელიმე ელექტრონული საკომუნიკაციო პლატფორმის გამოყენებით ყველა სტუდენტისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვას;
- სრულად ელექტრონულად, ასინქრონულად, რაც გულისხმობს ვიდეო მეცადინეობების ან ხელმისაწვდომი სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო პლატფორმები ან/და ციფრული რესურსების გამოყენებით სწავლა-სწავლებას;
- ჰიბრიდულად, რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენებას, რაც შეიძლება იყოს დიფერენცირებული მოდულების, ჯგუფებისა და განაყოფების მიხედვით.

დისტანციური სასწავლო პროცესის წარმართვისა და დისტანციური სასწავლო რესურსების გამოყენების მიზნით კოლეჯი ახდენს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებას, კერძოდ, ელექტრონული პლატფორმა Teams გამოიყენება დისტანციური საგაკვეთილო პროცესისათვის.

პროგრამით გათვალისწინებულია რიგი მოდულების დისტანციურ რეჟიმში სწავლების შესაძლობლობა.

აღნიშნულ დოკუმენტში ასევე გაწერილია დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების, დისტანციური სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო რესურსების, სტუდენტთა დასწრების აღრიცხვის, შეფასების, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სხვა საკითხები.

განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ისინი იცნობენ დისტანციურად სასწავლო პროცესის წარმართვის რეგულაციას. მათ ნაწილს აქვს გამოცდილება დისტანციურად/ნაწილობრივ დისტანციურად მოდულების წაკითხვისა და საჭიროების შემთვევაში აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც შეძლებენ ცოდნის გამოყენებას.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის და შედეგების დადასტურებისათვის საჭირო დამატებით შესაძენი ინვენტარის დეტალური ინფორმაცია, ინვენტარის სახეობის, რაოდენობისა და შესყიდვის პერიოდის შესახებ. შესაძენია - "ჯოჯგინა ამწის სიმულატორი" მოდულისთვის - ჯოჯგინა ამწის მართვა; "მობილური ამწის სიმულატორი" მოდულისთვის - მობილური ამწის მართვა; „ხიდურა ამწის სიმულატორი“ მოდულისთვის - ხიდურა ამწის მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

"საავტომობილო ამწის სიმულატორი" მოდულისთვის - საავტომობილო ამწის მართვა; პორტალური ამწის სიმულატორი" არჩევითი მოდულისთვის - პორტალური ამწის მართვა. ასევე შესაძენია აღნიშნული სიმულატორებისთვის სრული კომპლექტაცია - ადაპტერი, ყურსასმენი, სმენის დამცავი აღჭურვილობა. აღნიშნული ინვენტარის შესყიდვის დასრულების ვადად, შესაბამისობის გეგმის მიხედვით, განსაზღვრულია 2026 წლის 30 ნოემბერი. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ***2.2.1.1. სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია.***

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას,** კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 14 მასწავლებელი, აქედან 10 განახორციელებს ზოგად, ხოლო 4 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფ. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდებაა 14/30. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს.
ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. **2.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ:** ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე, უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგებიც და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგებიც. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, სასწავლო რესურსების განახლებაში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია შეთანხმებები. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, დაწესებულება განმახორციელებლებთან გააფორმებს შრომით ხელშეკრულებას. დირექტორის 2020 წლის 09 ივნისის №01-04/77 ბრძანებით (ცვლილება 2023 წლის 18 მაისი N01-04/94) შემუშავებულია „შინაგანაწესი", რომელშიც გაწერილია მასწავლებლის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პროფესიული განათლების დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. **2.2.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N01-04/28 ბრძანებით დამტკიცებულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 11 მაისის N01-04/128 (ცვლილება ბრძანება №01-04/181 (03/07/2026) ბრძანებით. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლისა და მასთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო ის არის კვალიფიციური კადრი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებშიც. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. **2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ:** ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. მათ შორის, არის განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება დაწესებულების სამკითხველო დარბაზში რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. მათ შეუძლიათ ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. **2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ:** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებს უზრუნველყოფილი აქვთ წვდომა პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებზე, რომლებიც ადაპტირებულია მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კოლეჯში ფუნქციონირებს ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდაჭერის მექანიზმი, რომლის ფარგლებში დასაქმებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს დაგეგმვასა და ორგანიზებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტი უზრუნველყოფს სასწავლო და სამუშაო მასალების ადაპტირებას, სტუდენტის მხარდაჭერასა და სასწავლო პროცესში ეფექტიან ჩართულობას. აღნიშნული პრაქტიკა რეალურად დანერგილი და მოქმედია კოლეჯში, რაც ხელს უწყობს ინკლუზიური და თანაბრად ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნას. განსახილველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ სტუდენტი არ ჰყოლია. **2.2.1.6. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ: კოლეჯი წარმოადგენს სსიპ-ს სამართლებრივი მოწყობის თვალსაზრისით და, პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ ფინანსური ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავლებში გათვალისწინებულია - ვაუჩერული დაფინანსება; ხარჯებში - მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან), ნედლეულისა და მასალის ხარჯები, სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები, აღჭურვილობის ამორტიზაციის ხარჯი. აღნიშნული ბიუჯეტით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 10 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. **2.2.1.7 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დირექტორის 11/05/2026 წლის N01-04/128 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა „ამწის ოპერირება“ ;
- 2022 წლის 14 იანვრის N01-04/06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- შესაბამისობის გეგმა;
- დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის N01-04/28 ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების შესახებ;
- დირექტორის 2026 წლის 11 მაისის N01-04/128 (ცვლილება ბრძანებით №01-04/181 (03/07/2026)) ბრძანება პროგრამის ხელ-ლის დამტკიცების შესახებ;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დირექტორის 2020 წლის 09 ივნისის №01-04/77 ბრძანება (ცვლილება 2023 წლის 18 მაისი N01- 04/94) „შინაგანაწესის“ დამტკიცების შესახებ;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმი;
- გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები, რომელიც ეყრდნობა დემინგის ციკლს. კოლეჯის დირექტორის მიერ 2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანებით (ცვლილება 2025 წლის 27 მაისი, ბრძანება №01-04/106) დამტკიცებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესი", რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხელს უწყობს კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს პროცესების იდენტიფიცირებას, დაგეგმვას, განვითარებას, მონიტორინგის გეგმის შედგენას, მონიტორინგის განხორციელებას და პროცესების შეფასებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება, სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა, მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება, ვერიფიკაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით.

პროგრამების განვითარებაზე ზრუნვას კოლეჯი ახორციელებს როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით. პირველ შემთხვევაში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს: თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. ინფორმაცია შესაძლოა მიღებული იქნას როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, რომელიც სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ აანალიზებს მოდულის განხორციელების მიმდინარეობას და გამოყოფს საკითხებს, რომელთა გაუმჯობესებაც რეკომენდებულია, ასევე პროფესიული სტუდენტებისაგან, რომლებმაც უკვე დაასრულეს მოდული. შესაძლოა სწავლის მეთოდებისა და მიდგომების ან სასწავლო რესურსების გაუმჯობესების წყაროდ იქცეს საერთაშორისო პრაქტიკა, რომელსაც გაეცნო კოლეჯი და თვლის, რომ მისი დანერგვით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს.

პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ თუ საერთაშორისო გამოცდილებას. **2.3.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ, კოლეჯს შემუშავებული აქვს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესი", რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის განვითარებას და ცვლილებების განხორციელების შემთხვევებს და ცვლილებების განხორციელების პროცედურას. კოლეჯის ხარისხის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლის „დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე-განავითარე" მოდელზე. პროგრამის შეფასება ხდება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებზე დაყრდნობით, რომლის ფარგლებში ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის (პროფესიული სტუდენტი, დამსაქმებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი) გამოკითხვა და შედეგების ანალიზი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ხარისხის მენეჯერის რეკომენდაციების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები. ცვლილებების პროცედურები ხორციელდება აღნიშნული წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს.

სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი გააანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები მასში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. ექსპერტთა შეფასებით, **2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების წესი“ (2025 წლის 12 თებერვლის N01-04/22 ბრძანება (ცვლილება 2025 წლის 27 მაისი, ბრძანება №01-04/106);
- სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის“ „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“ (2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანება; ცვლილება 27/05/2025 N 01-04/105);
- პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლის, მასწავლებლის კითხვარები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ადგილზე და ელექტრონულად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,, ამწის ოპერირება '' ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის მოცულობით, 8 პროფესიულ მოდულს ჯამური 58 კრედიტის მოცულობით და არჩევითი ბლოკიდან 1 მოდულს 5 კრედიტის მოცულობით. საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად ამწის ოპერირებაში პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად 70 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 50 სასწავლო კვირას ანუ 13 სასწავლო თვეს.

მოდულების, ქართული ენა A2 (15 კრედიტი) და ქართული ენა B1 (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. მათთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. მათთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 100 კრედიტს. არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 70 სასწავლო კვირას. პროგრამა დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. **2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ: სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში" საწავლო პროცესი მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" (დამტკიცებულია 2026 წლის 24 მარტის N N01-04/74 ბრძანებით) მიხედვით კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად რეაგირებს ყველა შემხვედრ საჭიროებაზე, კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში დისტანციური სწავლების დროს, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტთა რესურსებით უზრუნველყოფაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და/ან დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციების ჩატარებაში. სასწავლო გეგმებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განისაზღვრება თითოეული პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამის დამთავრებისას.

სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში მოხდება ცვლილება ან მისი გაუქმება, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. კოლეჯი მყისიერად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესში.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისას სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებისა და მათ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების პრაქტიკა დადასტურდა დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, თანასწორობის, ინკლუზიურობის, ხარისხის უზრუნველყოფისა და უწყვეტი განვითარების პრინციპებს. **2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ: პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი გარემო აღჭურვილია იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროგრამა სრულად ითვალისწინებს სწავლების მეთოდებს და უზრუნველყოფს თანამედროვე მიდგომების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში.

სასწავლო პროცესი ორგანიზებულია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით. იგი მოიცავს თეორიულ სწავლებას, პრაქტიკულ სამუშაოებს, ლაბორატორიულ და პროექტულ აქტივობებს, ინტერაქტიულ სწავლებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. სწავლება ხორციელდება ისეთი მეთოდებით, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, პრობლემებზე ორიენტირებულ სწავლებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას.

დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა პრაქტიკულ საქმიანობაში აითვისონ თანამედროვე ხელსაწყოები.

პროგრამის ეფექტურობის მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას. მასწავლებლებს მუდმივად უტარდებათ ტრენინგები როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე, კოლეჯი მუდმივად აორგანიზებს და ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგებსა და მასტერკლასებს სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. მასწავლებლებს საშუალება აქვთ გაეცნონ დარგის ტექნოლოგიურ სიახლეებს, ამისათვის კოლეჯი იწვევს დარგის მოქმედ ექსპერტებს ან უზრუნველყოფს მასწავლებელთა პერიოდული ვიზიტებს პარტნიორ საწარმოებში. ექსპერტთა შეფასებით, **2.4.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ: კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმები და პროცედურები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შემთხვევები, შემუშავებაზე პასუხიმგებელი პირები და პროფესიულ სტუდენტთა სავალდებულო ჩართვისა და მათთან შეთანხმების მექანიზმები. განსაზღვრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებაზე ზრუნვას, მათ შორის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას კოლეჯი მიმართავს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო მიდგომებს.

კოლეჯში მოქმედებს 24/03/2026 წლის №01-04/74 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა, როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც წამოიჭრება ამის საჭიროება. კოლეჯის დირექტორი ქმნის კომისიას, რომელსაც ამტკიცებს სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობა შედიან - სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულის განმახორციელებელი პირი. კომისიის მიერ ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავება, შემუშავებული პროექტის პროფესიული სტუდენტებისთვის გაცნობა კოლეჯის მიერ დადგენილ ვადებში. კომისია კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ოქმს, რომელსაც დანართის სახით დაერთვება პროექტი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობასთან დაკავშირებით.

პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაშიც ეხმარება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“. **2.4.1.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება შესაბამისი მემორანდუმით, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ამწის ოპერირება“ ხორციელდება კოოპერაციული მიდგომით. სასწავლო პროცესის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებას და კომპანია შპს „მირაჟს“ შორის გაფორმებულია მემორანდუმი №01-42.02 (14.05.2026), რომლის საფუძველზეც კოლეჯი იყენებს კომპანიის ბაზას პრაქტიკული სწავლებისთვის ორი მოდულის ფარგლებში:

- ამწის წინა მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება (სწავლის შედეგი 2,3,4);
- ამწის ტექნიკური მომსახურება, მიმდინარე და დაგეგმილი დათვალიერება (სწავლის შედეგი 2);

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; აღნიშნული კომპანია უზრუნველყოფს ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტისათვის სწავლებას. ხელშეკრულება გაფორმებულია კოლეჯის ავტორიზაციის ვადით (2028 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით). ხელშეკრულებაში წარმოდგენილია საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი მოდულების მიხედვით. ექსპერტთა მიერ განხორციელდა ვიზიტი პარტნიორ კომპანიაში. შემოწმდა კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი. ადგილზე, კომპანიების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი გამოთქვამენ მზაობას უზრუნველყონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება. **2.4.1.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ: კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს უსაფრთხოების წესი. ასე კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 16/02/2026 წლის N01-04/40 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შრომის უსაფრთხოების წესი, რომელიც მოიცავს შრომის უსაფრთხოების და პირადი ჰიგიენის ნორმებს, უბედური შემთხვევების დროს რეაგირების/პირველადი დახმარების და ხანძარსაწინააღმდეგო წესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას განახორციელებს კონსტრუქციულად მდგრად შენობაში, რომელშიც გათვალისწინებულია სახანძრო და საევაკუაციო მოთხოვნები, შენობა აღჭურვილია საევაკუაციო სანათი ნიშნებით და ოპერირებული ცეცხლმაქრი მოწყობილობებით, დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი სისტემატურად ახორციელებს რისკების შეფასებას, ასევე რეგულარულად ატარებს ტრენინგებს პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.
აღნიშნული პროგრამის სწავლებისათვის კოლეჯში ასევე მოქმედებს ,,სასწავლო ლაბორატორიის უსაფრთხოების წესები", რომელშიც გაწერილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების, აღჭურვილობის შემოწმებისა და მოვლის საკითხები; განსაზღვრულია შრომის ორგანიზება და გარემო, შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა მუშაობისას, ექსტრემალურ სიტუაციაში ქცევის წესები.
გარდა ამისა, პარტნიორთან გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას. **2.4.1.6 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- სასწავლო გეგმები;
- სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღის" „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში" (2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანება; ცვლილება 27/05/2025 N 01-04/105);
- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" (დამტკიცებულია 2026 წლის 24 მარტის N01-04/74 ბრძანებით);
- მასწავლებელთა სერტიფიკატები, სამუშაო შეხვედრებზე დასწრების ფურცლები;
- შპს მირაჟთან გაფორმებული მემორანდუმი;
- ინტერვირების შედეგები;
- ვიზიტის დროს შენობის ვიზუალური დათვალიერება.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ: დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულ ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დამტკიცებულია 24/03/2026 წლის №01-04/74 ბრძანებით) მე-5, მე-6 და მე-7 თავებში გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების, შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხები. ამ წესის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წარედგინება სასწავლო პროცესის ერთ-ერთ კოორდინატორს ტექნიკური მხარის შესამოწმებლად და პროგრამის ხელმძღვანელს შინაარსობრივი მხარის შესამოწმებლად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. დოკუმენტში აღწერილია განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები, განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ; მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს, უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტთა კონსულტირების, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მტკიცებულებების შენახვის საკითხებს. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. **2.4.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ: დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც ადასტურებს, რომ კოლეჯში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და სამართლიანი.
კოლეჯში მოქმედებს 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222(ცვლილება 27/05/2025 N01-04/105) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის ჯგუფის ძირითადი ამოცანები, ვერიფიკაციის მიმართულებები და გაწერილია ძირითადი ეტაპები, რომლებიც მოიცავს ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევას, განხილვის ორგანიზებას, ფაქტობრივ გარემობებზე შეთანხმებას და ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენას.
შეფასების ვერიფიკაციის მიმართულებებია:

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დოკუმენტით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი. შიდა ვერიფიკაციის პროცესში ასევე ჩართულია ხარისხის მართვის სპეციალისტი, დარგის სპეციალისტები. ამ დოკუმენტის მიხედვით ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას. შესაბამისად, შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებების ობიექტურობა.
შერჩევა ხორციელდება რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დასკვნის სახით.
ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით.
ამავე დოკუმენტით დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა; შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის და შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა; შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი; შეფასების ფურცელი; ვერიფიკაციის დასკვნა.
გასაუბრებითა და ვერიფიკაციის მტკიცებულებების შესწავლით დადასტურდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს და გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. **2.4.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ: დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, კოლეჯი ვალდებულია მოდულების შედეგების შეფასების მტკიცებულებები შეინახოს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ მტკიცებულებები გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით. მტკიცებულებები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. მტკიცებულებები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად. **2.4.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ: დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ კოლეჯში რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტენტთა ინფორმირების, კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა; კოლეჯში ხორციელდება სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგი. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია მათი პერსონალური მონაცემები. სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.
სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ როგორ განავითაროს შედეგი და რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიული მასწავლებლები პერიოდულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში პროფესიულ სტუდენტებთან, რომელიც გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. **2.4.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

28.07.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: